ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 219 (19660) ◆ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ-86

ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის სოფლების — გამარჯვების ა. ᲧᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ სახელობის, ჯაფარიძისა და ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში საქართველოს ზოოტექნიკურ-ᲕᲐᲖᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘᲣᲠᲘ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 500-ზე მეტი პირველი და მეორეკურსელი სტუდენტი შრომობს. ისინი კოლმეურნეობებს რთველში ეხმარებიან.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲝᲠᲘᲐᲓ თითოეული სტუდენტი საშუალოდ 400-500 კილოგრამ ყურძენს კრეფს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ მეორეკურსელები მაია ლომკაცი და დავით თათარაშვილი; სტუდენტთა ერთი ჯგუფი რთველში.

Გ. ᲒᲔᲠᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ

ᲕᲔᲜᲘ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიულ გეგმაში დასახულია თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ხალხის კეთილდღეობა. ნავარაუდევია მკვეთრად გაიზარდოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის გამოყოფილი რესურსების მოცულობა, გადიდდეს რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. უდიდესი სახსრები გამოიყოფა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გაფართოებისათვის. ეს გეგმებია და ისინი რეალობად იქცევა მხოლოდ იმ პირობით, თუ თითოეული საბჭოთა ადამიანი დაძაბულად და ეფექტიანად იშრომებს.

რასაც თვითონ გავაკეთებთ, ის გვექნება და ისე ვიცხოვრებთ, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე.

დიახ, რასაც თვითონ გავაკეთებთ, ის გვექნება და ისე ვიცხოვრებთ, ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ შრომითს კოლექტივებში პარტიული კომიტეტების ინიციატივით წყდება ბევრი სოციალური საკითხი. მათ შორის აღნიშნა კარგად ორგანიზებული კვების სისტემა რიგის სახელმწიფო ელექტროტექნიკური ქარხანაში, ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე დამაკმაყოფილებელი ზრუნვა ბელორუსიის ქიმიურ და ლიპეცკის მეტალურგიულ სანარმოებში, ახალგაზრდული საბინაო კომპლექსების მშენებლობის საკითხი მოსკოვის ოლქში, კალინინგრადსა და სვერდლოვსკში. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელმა შეაქო ქ. ტოლიატში ბაგა-ბაღების, სკოლების, საცხოვრებელი ბინების, საავადმყოფოების, სხვა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა. მოიწონა ვოლგის საავტომობილო ქარხნის ბრიგადირების ვ. ჩვანოვისა და ს. აგაპოვის, მათი ამხანაგების ინიციატივა ნელს სულ ცოტა ოთხი თავისუფალი დღე იმუშაონ საავადმყოფოების, სკოლების, კულტურის სახლების მშენებლობაზე.

ვოლგოგრადელთა ინიციატივას მალე გამოეხმაურნენ და დაუჭირეს მხარი ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო სანარმოთა, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების კოლექტივებმა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი გამხდარა თბილისის ბრიგადა „ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ“. გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა შეიმუშავა ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც მითითებულია, რა სამუშაოებს შეასრულებენ კონკრეტულად აქაური მშრომელები ამ ოთხ თავისუფალ დღეს. ელექტრო და შემქმიკურ საამქროთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს, მაგალითად, უსასყიდლოდ ძირითადად თავიანთ საშუფო ორგანიზაციებში იშრომონ. კერძოდ, კაპიტალურად შეაკეთებენ ნეგროლოგიის ინსტიტუტისა და ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ელექტრომეურნეობას, მოაწყობენ დამზმარე სათავსოებს, იშრომებენ გაერთიანების იმ ახალი საწარმოო კორპუსის კეთილმოწყობაზე, რომელიც ავჭალის გზატკეცილზე აიგო. დაეხმარებიან თბილისის № 5 სასლოსაშენებელი კომბინატის კოლექტივს, რომელიც გაერთიანებათაის საოჯახო ტიპის საერთო საცხოვრებელს აშენებს.

უსასყიდლოდ მუშაობის იდეა გაერთიანების პარტიკომი ინიციატივათის უცხო როდი იყო. ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში საჩითავი საამქროს ერთ-ერთი ცვლის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კამათი გამოსულმა კომუნისტებმა გადაწყვიტეს ერთი დღე დამატებით წარმოებისათვის, ხოლო ორი დღე სხვადასხვა საშენებლო ობიექტზე ემუშავათ. საგულისხმოა, რომ ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭირა მხარი გაერთიანების ყველა მშრომელმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, და ეს ბუნებრივია. ისინი დიდი მონდომებით შრომობდნენ ნარიჭალას კომპლექსის აღდგენაზე.

ოთხ დღეს იმუშავებს საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის მშენებლობაზე აგრეთვე თბილისის „ელექტროამშენებელის“ საწარმოო გაერთიანების საექსპერიმენტო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც გაერთიანების პარტკომის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი როლანდ გოგიაშვილი ხელმძღვანელობს. რიგრიგობით, ბრიგადების მისედვით შრომობენ თავისუფალ დროს საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე „საქელექტრომაქანის“ საწარმოო გაერთიანების ახალგაზრდები, სხვადასხვა ობიექტზე — „საქსამთოფქმშრეწვის“, „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანებების, რესპუბლიკის მთელი რიგი ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეები.

რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ მართალია, მაგრამ სწორია ისიც, რომ ამ მიმართულებით ყველამ არ გამოიჩინა ჯერ გულისხმიერება. ვამბობთ „ჯერ“ იმიტომ, რომ ვიმედოვნებთ ვოლგელთა ეს ინიციატივა არავის დატოვებს გულგრილს. ბოლოს და ბოლოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ჩვენთვის შენდება. კიდევ ვიმეორებთ ყრილობაზე ნათქვამ იმ ჭეშმარიტებას, რომ, რასაც თვითონ გავაკეთებთ, ის გვექნება და ისე ვიცხოვრებთ. საქმიანადმი ასეთი დამოკიდებულება მორალური სიწმინდის, ზნეობრივი სისპეტაკის მაჩვენებელია, იგი საბჭოთა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. მოვალეობისადმი ასეთი მიდგომის ათასობით, ათიათასობით ფაქტი ოქროს ასოებით ჩაიწერა კომუნისტური პარტიის, კომკავშირის, საბჭოთა სახელმწიფოს, მისი სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიაში.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების აგება, უპირველესად, ცხადია, მშენებელთა მოვალეობაა, მაგრამ ჯერჯერობით უჭირთ მათ საქმის დროული მოგვარება და ამას აქვს ობიექტური და სუბიექტური მიზეზი. მართალია, როგორც სახალხო-სამეურნეო, ისე სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობებზე დაიწყო გარკვეული წინსვლა, მაგრამ ჯერ ეს ტემპი არ არის საკმარისი, და ეს ითქმა კიდევ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების რვა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და დასახა ცხრა თვისა და მოლიანად მიმდინარე წლის წარმატებული დამთავრების გადაუდებელი ღონისძიებანი. აღინიშნა, მაგალითად, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა ლაგოდეხისა და ხობის რაიონული საავადმყოფოების მშენებლობის მიმდინარეობას, ჩამორჩა ბინათმშენებლობა აფხაზთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გარდაბნის, ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ და ზესტაფონის რაიონებში. ᲰᲝᲓᲐ, ᲖᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ რაიონების საწარმოების, სხვა ორგანიზაციების კოლექტივებმა უნდა გამოიჩინონ მეტი მონდომება, იშრომონ ოთხი თავისუფალი დღე ამ ობიექტებზე. ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲝᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვის დაწესებულებები და საცხოვრებელი ბინები ხომ მათთვის შენდება? განა ცუდია, რომ წლის დამდეგიდან რესპუბლიკაში მოწყობილი შაბათობების ხარჯზე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებას 140 ადგილი, პროფტექნიკურ სასწავლებელს 600 ადგილი, საავადმყოფოებს 123 საწოლი შეემატა? ვინ იცის, რამდენ ქალაქში ან რაიონში ჰიანურდება მსგავსი ობიექტების მშენებლობა, მაგრამ მათი საწარმოების, დაწესებულებების კოლექტივები, განსაკუთრებით ახალგაზრდები ვიღაცასა და რაღაცას ელოდებიან. არადა, ბაგა-ბაღები, სკოლები, კლუბები, საავადმყოფოები მათთვის, მათი ოჯახებისათვის შენდება.

მშენებლობისა საერთოდ და, კონკრეტულად, საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის საკითხი პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. ამაზე მეტყველებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებული დადგენილებაც ქვეყნის სამშენებლო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა მოცულობის დაწყარებული გადიდების მიზნით სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით საჭიროებისამებრ ქალაქებში, ოლქებსა და მხარეებში ინდუსტრიული ხალხმშენებლობის საწარმოთა ბაზაზე შექმნან საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც დასპეციალებული იქნებიან საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაზე. შემდგომში ეს ორგანიზაციები უშუალოდ დაექვემდებარონ სახალხო დეპუტატთა შესაბამის ადგილობრივ საბჭოებს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო ერთიანი შემკვეთის სამსახურის განვითარებასა და საცხოვრებელი უბნების კომპლექსური განაშენიანების ორგანიზაციას.

როგორც ხედავთ, დადგენილების თანახმად გაადვილდება მშენებლობის მართვა, გადიდდება მისი მოცულობა, გაუმჯობესდება საერთო მდგომარეობა, მაგრამ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს მშენებლობაზე თავისუფალ დროს ნებაყოფლობითი მონაწილეობის მიღება არასდროს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას. არ დაკარგავს იმიტომ, რომ დიდია მისი აღმზრდელობითი ზეგავლენა, ზნეობრივი ძალა.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

20 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მთელი რიგი სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროების, ცენტრალური უწყებების ხელმძღვანელთა და პარტკომების მდივანთა თათბირი, რომელზეც სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად განიხილეს კაპიტალურ მშენებლობაში სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების ამოცანები, მიმდინარე წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფისა და 1987 წლის სამშენებლო პროგრამის ჩამოყალიბების ღონისძიებანი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარემ ი. პ. ბატალინმა.

მშენებლობაში მიმდინარე გარდაქმნის პრაქტიკულ საკითხთა განხილვისას სსრ კავშირის მშენბანკის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ს. ზოტოვმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სეროვმა, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილემ ი. პ. ბოვეშვა თათბირს აცნობეს, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება დაფინანსების ახალ პირობებზე გადასვლისათვის, მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემისა და მოწყობილობით კომპლექტაციის სრულყოფისათვის, როგორ მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობის 1987 წლის გეგმის ჩამოყალიბება.

თათბირზე გამოვიდნენ სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ა. ა. ეიევსკი და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ე. კ. პერვუშინი, რომლებმაც დამსწრეთ აცნობეს, თუ როგორ მიმდინარეობს დარგებში მუშაობა ახალი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების, შემკვეთის როლისა და შექმნილი წარმოებების ტექნიკური დონისათვის მისი პასუხისმგებლობის გაძლიერების, მშენებლობაში კომპლექსურობის დაცვის, სოციალური სფეროს დაჩქარებული განვითარების, სიმძლავრეებისა და ობიექტების აგების ᲩᲥᲠᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ მიზნით.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შემკვეთი სამინისტროებს საიჯარო ორგანიზაციებთან, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად დიდი მუშაობა ელით, რათა დაიჩქარონ სამშენებლო საქმის წარმოების ახალ პრინციპებზე გადასვლა, დანერგონ მის პრაქტიკაში სტაბილური სახელშეკრულებო ფასები, ეფექტიანი ფინანსური კრედიტული მექანიზმი, ერთმანეთისადმი მატერიალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული ნამდვილად სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობა. კაპიტალურ მშენებლობაში გარდაქმნის მთელი პროცესი უნდა დამთავრდეს უკიდურესად შემშვიდროებულ ᲕᲐᲓᲔᲑᲨᲘ, წარმოების გაუჩერებლად, ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომდინარე წლის საგეგმო დავალებათა უთუო შესრულება.

ცენტრალური საგეგმო, მომარაგებისა და ფინანსური ორგანოების, შემკვეთი სამინისტროების წინაშე დასახულია ამოცანა დაასრულონ მოძველებული პროექტების გადასინჯვა, რომლებთაც იწარმოებს მშენებლობა, განსაზღვრონ დროებით დასაკონსერვებელი ობიექტების ნუსხა, მკვეთრად გაზარდონ მოკმედი წარმოებების რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობა, მათ შორის სამეურნეო ნერხით შესასრულებელი სამუშაოებისა, სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები შეუსაბამონ მათი აგების ნორმატიულ ხანგრძლივობას, აქტიურად გადავიდნენ კომპლექტური ტექნოლოგიური და საინჟინრო მოწყობილობით მშენებლობის უზრუნველყოფაზე, დაარქარონ სპეციალიზაციისა და სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა.

პარტიულ კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ უშუალო კონტროლი დაუწესონ სამინისტროებსა და უწყებებში მიმდინარე მუშაობას მშენებლობაში ახალი სამეურნეო მექანიზმის დანერგვისათვის, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტას, მკვეთრად აამაღლონ მნიშვნელობის აპარატის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა მიმდინარე გარდაქმნის შედეგებისათვის, გააძლიერონ მომთხოვნელობა კადრებისადმი. რომლებიც კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე მუშაობენ.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ნ. ზაიკოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები. (ᲡᲐᲥᲓᲘᲡ).

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ სემესტრის სხვადასხვა მერიდიანზე კარგი კვალი დატოვეს ბოლო ხუთ წელიწადში საქართველოს სტუდენტებმა. იმიერპოლარეთის მურმანსკსა და არაშავმიწანიადაგიანი ზონის რაიონებში, კომის ასს რესპუბლიკის ქალაქ სიტივკარსა და თათრეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ ბრეჟნევში, კოსმოსის პირველმკვლევარის სამშობლოში — ქალაქ გაგარინში აგებდნენ ისინი საცხოვრებელ სახლებსა და სკოლებს, გაკაფავდათ გზები და აშენებდნენ სკვერებს, მუშაობდნენ ახალი მიკრორაიონების კეთილმოწყობაზე.

სტუდენტური რაზმის მებრძოლი, ოსტატი, მეთაური — ასეთია შრომითი გზა, რომელიც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის მანძილზე გაიარა სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. ნებიერიძემ. და ყოველ სამუშაო პოსტზე, ისევე როგორც სწავლაში, იგი საუკეთესო მებრძოლურ თვისებებს ავლენდა. აი გასულ ზაფხულშიც სტუდენტ-პოლიტექნიკოსთა რაზმმა „საქართველო86“-მა, რომელსაც იგი მეთაურობდა, გაგარინიდან ჩამოიტანა სრულიად საკავშირო ალკკ სმოლენსკის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

სტუდენტური რაზმების შემადგენლობაში მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და სწავლაში, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში წარმატებისათვის ნ. ნებიერიძეს მიენიჭა ხალხთა მეგობრობის ორდენი. ეს მაღალი ჯილდო 19 სექტემბერს გადასცეს მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

რესპუბლიკის სტუდენტური რაზმების ყველაზე წარჩინებულ მონაწილეებსა და ორგანიზატორებს გადაეცათ აგრეთვე „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“. ამასთან ერთად 1985 წლის მესამე სემესტრში მიღწეული წარმატებებისათვის სტუდენტური რაზმების, უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების ჯგუფს, შრომითი ზაფხულის ცალკეულ მონაწილეებსა და ორგანიზატორებს მიენიჭათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულმა ორატორებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. მათ განაცხადეს, რომ ეს ავანსად მიიჩნიათ და წარჩინებული სწავლითა და დამკვრელური მუშაობით, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამარავლებენ რესპუბლიკის სტუდენტობის მიღწევებს.

ახალგაზრდებს ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სარაძემ. მან გულითადად მ[illegible] ყველა დაჯილდოებულს, მათ ბედნიერება, ახალი [illegible] მატებები სწავლასა [illegible] იმ დიდი და პასუხსაგები ცანების გადაწყვეტაში, [illegible] საც დღეს პარტია უყენებ[illegible] მაგალ სპეციალისტებს.

ᲛᲔᲥᲕᲔᲗᲘᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიცით, 1985-86 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაწლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სიღნაღის რაიონი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და პრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ვ. მჭედლიშვილი ესაუბრა რაიონის აგრონომრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარეს დ. ალადაშვილს.

— **ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ** უმთავრეს ფაქტორად, — თქვა დ. ალადაშვილმა, — უნდა მივიჩნიოთ რაიონის ფერმის მუშაკთა გაქტიურება. თავიანთ საქმეს ხალისით, სიყვარულით და მუყაითად ეკიდებიან სოფელ ბოდის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავები ჩიტო და მთხოვარა ხუნაშვილები, ჯუგაანელი ლელა ელაშვილი, ნუკრიანელი მეცხვარე გიორგი ჯოხარიძე, წნორის მეცხოველეობის კომპლექსის № 2 ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ნიკვაშვილი, ძველი ანაგის და ბოდის ორჯოხიკიძის სახელობის კოლმეურნეობების მეცხვარეობის ფერმის გამგეები ვალიკო ბეგიაშვილი, ფარნაოზ ლეკიაშვილი და შესაბამის შრომითს შედეგებსაც აღწევენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მეორე, მთავარი ფაქტორი საკვები ბაზის განმტკიცებაა. შარშან რაიონის საკვებმომპოვებლებმა დაამზადეს 33.414 ტონა სენაჟი, 22.460 ტონა ნამჯა, 25.790 ტონა სილოსი, 9.500 ტონა თივა და სხვა საკვები, რაც პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისთვის საკმარისი იყო. ამ მხრივ მეტია გაკეთებული წლეულს. საგეგმო 71.000 ტონის ნაცვლად დამზადებულია 94.000 ტონა ხარისხოვანი უხეში საკვები.

მოგეხსენებათ, რომ მეცხოველეობის სტაბილური განვითარება, პროდუქტიულობის ზრდა ბევრად არის დამოკიდებული სასელეკციო მუშაობაზე. აგროსამრეწველო გაერთიანების მეცხოველეობის სამსახურის სპეციალისტები ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ეკიდებიან სანაშენე მოზარდის მოვლებისა და ჩამოყალიბების საქმეს. წლეულს უკვე უარი ეთქვით რაიონის გარეთან მოზარდის შემოყვანაზე. ეს მეურნეობრივი თვალსაზრისით ყოველმხრივ მომგებიანია.

ფერმებში ეკონომიკური ეფექტი მოგვცა ბრიგადული იჯარის წესით მუშაობამ, როცა ყოველივე ჯამდება და ნაზღაურდება შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით. ეს მეთოდი განსაკუთრებით შედეგიანი გამოდგა მეცხვარეობაში, სადაც დაწესებულია გეგმის გადაჭარბებით მიღებული ნამატის ნატურალური ანაზღაურება. აი, ამის დასტურიც — ყოველ 100 ნერგზე წლეულს საგეგმო 81-ის ნაცვლად მიღებული და გამოზრდილია 90 ბატკანი.

საერთოდ, გამოზამთრების პერიოდში, რაიონის მეცხოველეებმა აწარმოეს 3.600 ტონა ხორცი, რაც წინა გამოზამთრების შესაბამის პერიოდთან შედარებით 380 ტონით მეტია, საგეგმოზე მეტია მიღებული რძე, კვერცხი, მატყლი და სხვა პროდუქტებიც. ამასთანავე, მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, რომლის საფუძველია სწორად სამეურნეო ანგარიში, მანეთით კონტროლი.

უნდა ითქვას, რომ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მერიდიანზე რაიონის გასვლა და გამარჯვება აქაური ყველა მშრომელის დამსახურებაა, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ამ საქმეში ბოდბისხევის, ნუკრიანის, „პარიზის კომუნის“, ბოდის ორჯონიკიძის სახელობის, ვეჭირის, ტიბაანის კოლმეურნეობების მეცხოველეთა სიბეჯითე. გამარჯვების შემდეგ მემინდერვეები, მეცხოველეები, საკვებმომპოვებლები უფრო ხალისით, უკეთესი განწყობით ემზადებიან მომავალი გამოზამთრებისათვის. განვლილ რვა თვეში მეცხოველეობის 21 ძირითადი მაჩვენებლიდან ყველა დადებითია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 53 ტონით მეტი ხორცი, 847 ტონით მეტი რძე, 155 ათასი ცალით მეტი კვერცხი და სხვა პროდუქტები. შემცირდა პირუტყვის გაწყდომის შემთხვევები. სახელმწიფოსათვის მიყიდული თითოეული სული მსხვილფეხა პირუტყვის წონა გაიზარდა 64 კილოგრამით, ღორისა — 2, ცხვრის — 4 კილოგრამით.

რაიონის მშრომელების აზრი ერთია — ჩვენი შრომის ესოდენ დაფასებას ვუპასუხებთ უკეთესი შრომით, უკეთესი მაჩვენებლებით.

ᲝᲒᲐᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲤᲣᲗᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). კურსების გრანტის ქარხანამ ამ დღეებში ბრესტის დიდების მემორიალის მშენებლობაზე გრანიტის ქვის მორიგი დიდი პარტია გაგზავნა. კურსელები სამშენებლო ფილებით ჩვენი ქვეყნის მრავალ ახალმშენებლობას ამარაგებენ. მეგრანიტეთა შორის ფართოდ გაშალა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მათ ვალდებულება იკისრეს ამ მნიშვნელოვანი თარიღისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის დავალება. მოწინავე შრომითი კოლექტივის მონდომებამ და შეჭართებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. მიმდინარე წლის რვა თვის სახელმწიფო გეგმა აქ 102,8 პროცენტით შესრულდა.

ქარხანამ წარმატებით შეასრულა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო ნაკეთობის მიწოდების დავალება და პროდუქციის რეალიზაციის საერთო სახელმწიფო გეგმაც. სისტემატურად იზრდება თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება. რვა თვეში ეს მაჩვენებელი გეგმასთან შედარებით 2,8 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოშვებული შემცირებას. ამ გზით მიღებულმა ეკონომიამ უკვე 56 ათას მანეთს გადააჭარბა.





ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: კომპლექსის საზეიმო გახსნის წინ; ზეიმის ერთი ეპიზოდი.

Გ. ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲗ ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გააქტიურებისა და სრულყოფის, არმიაში სამსახურისათვის მისი მომზადების გაუმჯობესების შესაძლებლობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთ. მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიდველაში გასულ შაბათს მწყობრში ჩადგა სამხედრო-სპორტული კომპლექსი — რესპუბლიკაში პირველი სარაიონთაშორისო გამაჯანსაღებელი ბანაკი, მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო სწავლების ცენტრი.

კომპლექსის გახსნაზე დიდველაში ჩავიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, ო. ე. ჩერქეზია, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ვ. ვ. ბაქრაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე.

კომპლექსის შექმნის ინიციატორებმა — ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობამ, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა, რამდენიმე რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყოველი წვრ

პარტიული ცხოვრება: მოზეიმიხვეულობის საზღვარი

მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, ადიგენის რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებშიც დროულად განიხილეს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი და ერთსულოვნად მოიწონეს. ამასთან, საზოგადოებრივ მეურნეობათა და ხელოვნურ-დაწესებულებათა კომუნისტების უმრავლესობამ თავიანთ კრებებზე მოიფიდებლად ამხილა და დაგმო სხვის ხარჯზე მცხოვრები შუქთაბორები და პარაზიტები. მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში როდი გამოიჩინეს კომუნისტებმა შურიგებლობა და პრინციპულობა თავიანთ კოლექტივში ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენებისადმი. ზოგან ისევ ძველებურად დაუხუჭეს თვალი მომხდარ დანაშაულებებს და არწყევინების გზა არჩიეს პირდაპირობასა და გულახდილობას, ჭანსაც კრიტიკას.

ეს უმირველესად ითქმის ადიგენის რაიკოოპერატივის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაზე, რომელიც თავის რიგებში 46 კომუნისტს აერთიანებს. ეს საკმარისი ძალაა იმისათვის, რომ უშეღალათო ბრძოლა გაეშართონ და აღმოფხვრან ყოველგვარი დარღვევები, რაც შეინიშნება მათს კოლექტივში. მტკიცედ დაიცვან ვაჭრობის წესები. და სრული წესრიგი დაამყარონ რაიონის სავაჭრო ქსელში. მაგრამ ჯერჯერობით ამ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში რატომღაც უჭირთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ მის რიგებში კიდევ არიან ისეთი კომუნისტებიც, რომლებმაც ჯერ თვითონ ვერა და ვერ დაძლიეს კერძომესაკუთრული მისწრაფებანი. სწორედ ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ ორიოდე თვის წინათ, როცა აქაური კომუნისტები ღია პარტიულ კრებაზე იხილავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, პარტიბიუროს მდივანმა ც. ლომსიანიძემ, მართალია, ვრცლად გადმოსცა ამ დოკუმენტის შინაარსი, მაგრამ თავიანთ კოლექტივის საქმიანობას რომ შეეხო, მხოლოდ რამდენიმე უკვე გახმაურებული დანაშაულებრივი ფაქტისა და დამნაშავის გვარის აღნიშვნით დაკმაყოფილდა. თქვა, რომ საზოგადოებრივი ქონების მითვისებისათვის გამოძიების პროცესშია დაბა ადიგენის №2 და სოფლების — ქვემო ენთელის, მლაშის მაღაზიების გამგეები, აგრეთვე „ცეკავშირის“ ადიგენის ავტოკოლონის ავტომძღოლების თ. ზაზაშვილის და კომუნისტ გ. ფაცაცაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სისწორის სამართლის საქმეებიო. შემდანაკლისი. ამასთან პირველი აღწერიდან ბოლო აღწერამდე თანდათან სულ უფრო იზრდებოდა ეს დანაკლისი. აქედან ძნელი არ არის დასკვნის გამოტანა. პირველი აღწერისთანავე რომ არ მიეჩქმალათ აღმოჩენილი დანაკლისის ფაქტი და მიეღოთ გადამჭრელი ზომები, დღეისათვის არც ამ მაღაზიის გამგე ტ. ხარაიშვილს სულ რაღაც წელიწად-ნახევრის მუშაობის მანძილზე დაკარგდა 19 ათასი მანეთის ოფიციალური საქონელი. ამაში ბრალი მიუძღოდათ რაიკოოპერატივის რევიზორ-ინვენტარიზატორ ე ბ ს, საქონელმცოდნეებს და სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებმაც წელიწად-ნახევარში მაღაზიაში ხუთჯერ მოაწყვეს ინვენტარიზაცია და ხუთჯერვე დამალეს აღწერით აღმოჩენილი დიდძალი ებოდა. საქონლის აღწერით მან მაღაზიაში აღმოაჩინა 760 მანეთი დანაკლისი, მაგრამ ხელოვნურად შეამცირა იგი 66 მანეთამდე. ასევე მოიქცა რევიზორ-ინვენტარიზატორი კომუნისტი ს. ბალახაშვილი, რომელმაც მაღაზიაში მეორე აღწერა მოაწყო და აღმოჩენილი 1200 მანეთი დანაკლისი ნაშთის ხელოვნური გზაჭრით მიჩქმალა. მომდევნო აღწერა მოაწყო რაიკოოპერატივის საქონელმცოდნემ ი. კაკაკაშვილმა. მან უკვე 8 ათასი მანეთი დანაკლისი აღმოაჩინა, ხელოვნურად გაზარდა ნაშთი და დანაკლისად უჩვენა მხოლოდ 866 მანეთი, ხოლო მომდევნო აღწერაზე საქონელმცოდნე ლ. კოპალიანმა აღმოჩენილი 14 ათასი მანეთი დანაკლისი იმავე ხერხით — ნაშთის გადიდებით — მიჩქმალა და ეს ხელოვნურად შეამცირა 222 მანეთამდე.

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ რაიკოოპერატივის კომუნისტებმა და იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ მათს რევიზორებსა და საქონელმცოდნეებს აღწერების დროს აღმოჩენილი დანაკლისების მიჩქმალვა უშრომელი შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ გადაქცეული.

ყოველივე ამის მიუხედავად, ღია პარტიულ კრებაზე, რომელზეც უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს განხილავდნენ და რომელსაც რაიონის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, რაიკოოპერატივის ერთ-ერთმა კომუნისტმა ვერ გამოიჩინა პრინციპულობა და ვერც კომუნისტ ვ. წერეთელს და ვერც კომუნისტ ს. ბალახაშვილს ვერ უთხრეს პირში ის, რასაც მათ შესახებ ფიქრობდნენ. მათს დანაშაულებრივ მოქმედებას ვერ მისცეს სათანადო შეფასება. უფრო სწორი კი ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ ადიგენის რაიკოოპერატივის კომუნისტებმა ჩვეულებისამებრ თვალი დახუჭეს თავიანთი შეგობრების მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე და პირში წყალი ჩაგუბეს. მაგრამ თვალის დახუჭვა და პირში წყლის ჩაგუბება რომ ხსნის გზა არ არის! ამაშიც მალე დარწმუნდნენ.

ამას წინათ რაიონის პროკურატურამ დაამთავრა სოფელ ქვემო ენთელის მაღაზიაში მომხდარი კოოპერაციული ქონების გაფლანგვის საქმე და პარტიის რაიკომს ტისათვის შეუფერებელი საქციელი და თავი შერცხვენეს პარტიისა და ხალხის წინაშე, გარიცხულიყვნენ სკკპ რიგებიდან.

აი, რა მოუტანა ადიგენის რაიკოოპერატივის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს თვალის დახუჭვისა და არწყევინების მავნე პოლიტიკამ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მრომითს კოლექტივში ფასადამახინჯების, გაფლანგვა-დატაცების, გამოძალვის და უშრომელი შემოსავლის სხვა ფაქტებიც ბევრია. მაგრამ ისინი რატომღაც არ ხდება კომუნისტთა პრინციპული მსჯელობის საგანი.

არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ფ. ფარცახაშვილის მუშაობაც. იგი არ ამოწმებს რევიზიების ხარისხს. არ აწყობს მოულოდნელ ინვენტარიზაციებს.

სერიოზული ნაკლოვანებანია კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეშიც. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ მოხის, გომაროს, მლაშის და ზოგიერთი სხვა სასოფლო მაღაზია თვითმით დაკეტილია ხოლმე, მაღაზიის გამგე-გამყიდველებად ვერ გამოუნახიათ შესაფერისი კადრი. ზოგიერთი სავაჭრო ტექნიკუმდამთავრებულიც კი უარს აცხადებს მათთან მუშაობაზე. ბოდოს იძულებული ხდებიან, ისევ არაკვალიფიციური კადრები მიიღონ მაღაზიებში სამუშაოდ. სწორედ ასეთ მოუმზადებელ მუშაკებს აღმოაჩენდებათ ხოლმე შემდეგ დიდი რაოდენობის გაფლანგვა-დატაცებანი.

საერთოდ არსებობს თუ არა მათთან ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და დამოიგებელთა საბჭოები, — ძნელი სათქმელია, რადგან არავითარი კვალი მათი მუშაობისა არ ჩანს. თვითონ პირველადი პარტიული ორგანიზაციაც ჯერ კიდევ სუსტად იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებებს.

როგორც მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, ადიგენის რაიკოოპერატივის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მტად დაბალ დონეზე დგას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა თვით კომუნისტებს შორის. ამიტომ არის, რომ კომუნისტების ნაწილი ვერ ერკვევა საწესდებო მოთხოვნებში. მათი საქმიანობა ვერ უპასუხებს დღევანდელ გაზრდილ ამოცანებს და სულაც არ იგრძნობა ის გარდაქმნები, რომლისთვისაც მოგვიწოდებს სკკპ XXVII ყრილობისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი.

რაიკოოპერატივის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის უთუოდ დიდი მუშაობა მოუწევს პარტიის ადიგენის რაიკომსაც.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ თბილისის მეტროპოლიტენის მეოთხე რიგის დელის—ვაჟა-ფშაველას შენებლობა. ამჟამად აქ განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოს ასრულებენ „თბილისგვირაბმშენის“ № 51 შახტის გამყვანები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: შუაში № 51 შახტის ცვლის უფროსი, ახალგაზრდა ინჟინერი ჯონი ჭუბაბრია, მარცხნივ — გვირაბგამყვანები ილია ქვათაძე და ტარიელ აბულაძე.

ა. სააკოვის ფოტო.



დაჩქარების სტრატეგია

განა მარტო სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია?

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ — ᲐᲠᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 3 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ პროფესორ რ. მახარობლიძის წერილში — „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია“ აღძრულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, საკონსტრუქტორო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. ზოგიერთი მათგანი დაკონკრეტებას მოითხოვს. ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ იმ წინაღმდეგობაზე, რომელიც თან ახლავს ტექნიკის დანერგვის პროცესს.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საბოლოო მიზნი, მოგეხსენებათ, წარმოების ეფექტიანობაა, რომელიც მოსდევს კვლევითი მუშაობის პრაქტიკულ რეალიზაციას, დანერგვამდე კი მანქანას გასავლელი აქვს საწარმოფო გამოცდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ წინაღმდეგობებზე, რომლებიც ამ შემოწმებაზე მანქანის მოხვედრას ელობება. დრო კვლევითი საქმიანობის დამთავრებიდან სახელმწიფო გამოცდამდე დიდია, ამ პერიოდშია საუწყებო გამოცდაც, რომლისთვისაც თითქმის იგივე დოკუმენტაციაა შესადგენი, რომელსაც სახელმწიფო გამოცდა მოითხოვს, ჯერ კიდევ არაფერია ხოლმე ცნობილი მანქანების საწარმოო მაჩვენებლებზე და ამ დროს ჩვენ ვადგენთ ათასგვარ ფორმალურ-ქაღალდებს. იხარჯება დრო. მანქანის ღირება კი უშეალოდ ტექნოლოგიური პროცესის შესრულების დროს დგინდება. რა თქმა უნდა, ჩვენ აუცილებელი დოკუმენტაციის შედგენის წინაღმდეგი არა ვართ, ოღონდ საჭიროდ მიგვაჩნია არსებითად გამარტივდეს საგამოცდო დოკუმენტაციის შედგენის საქმე. მანქანის საუწყებო გამოცდა, როცა იგი დადებითს შეფასებას იმსახურებს, მხოლოდ აქტის შედგენით არ უნდა მთავრდებოდეს, არამედ იგივე საუწყებო კომისიას სათანადო დაინტერესება და კომპეტენცია უნდა გააჩნდეს იმისათვის, რომ სასარგებლო სიახლე სწრაფად დაინერგოს წარმოებაში.

დავუშვათ, გადავლახეთ წინააღმდეგობანი. მანქანამ გაიარა საუწყებო გამოცდა დადებითი შეფასებით. ახლა საჭიროა იგი მოხვდეს საკავშირო მანქანათა სისტემაში, სადაც ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი საკმაოდ ბევრი მანქანაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს პატივი საბოლოო მიზნის მიღწევა როდია. ამ საფეხურის გადალახვა მანქანის სახელმწიფო გამოცდაზე გატანისა და შემდგომ მისი დანერგვის გარანტიას არ იძლევა, რადგან ამის შემდეგ საქმის წარმატება, უმთავრესად ავტორის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

ყოველივის გასაგები როდია, თუ რა პრინციპით ნაწილდება მანქანათა სახელმწიფო გამოცდის ლიმიტები. ერთი კი ცხადია, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის საქმე კუს ნაბიჯით მიდის წინ და თუ არ შეიცვალა ამ საქმისადმი მიდგომა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე ლაპარაკი ძნელია.

არის შემთხვევები, როცა დაუსაბუთებლად გზას უხსნიან ამა თუ იმ ახალი ტექნიკის ათვისებას და დანერგვას. ამგვარი ჩარევა ყოველთვის კრახით მთავრდება და დიდ დანახარჯებსა და დროს გვაკარგვინებს. — 6-8 წლის წინათ, როცა მცირე მექანიზაციის დარგში საკმაო გამოცდილება გვჭონდა, გამოცდის მიზნით უპრიანი იყო იაპონური ფირმების ჩაის ბუჩქის ხელით სასხლავი და საკრეფი აპარატების მცირე პარტიების შემოტანა, მაგრამ, ტექნიკის დარგში არაკომპეტენტური პირების თაოსნობით, აღნიშნული აპარატები საჭიროზე მეტი შემოიზიდა. ამით გარკვეული ზარალი მიადგა ჩვენ ეროვნულ ეკონომიკას.

ეს, ალბათ, ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ანალოგიური შეცდომა მოხდა, როცა რამდენიმე წლის წინ იტალიაში შევისყიდეთ „სუპერ-610“ მოტობლოკის ლიცენზია სათანადო მანქანა-იარაღებით, რომელმაც კონკურენცია ვერ გაუწია საჭიურო წარმოების ასეთსავე მანქანებს. ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ უფროიური ტექნიკის შემოტანის დროს უფრო გულდასმით უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები, ამიტომ ამ საქმეში მანქანათმშენებლებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ უშუალოდ დარგის სპეციალისტებიც, რომლებიც კარგად ერკვევიან სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციაში. გამოცდილ მექანიზატორს არ გამოეპარებოდა ის შეცდომა, რომ მოტობლოკს კომპლექტში მოაყოლეს არა თითებიანი, არამედ უთითო მჭრელსპარატიანი სათბედები, რომლებიც ჩვენს რელიეფურ პირობებში ვერ მუშაობენ.

რესპუბლიკის თავისებური ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებით ზოგიერთი კულტურის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის გაუმჯობესებისათვის თითქმის არაფერი კეთდება სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. კერძოდ, არც ერთი სოლიდური სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია არ ამუშავებს მთიან პირობებში მარცვლეულის მოვლა-მოყვანისა და აღების საკითხებს. არადა, ამ რეგიონებში გვჭირდება მანქანების უფრო ეფექტიანი გამოყენება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ. მ. ამირეჯიბის სახელობის საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ ლაბორატორიას, იგივე მდგომარეობაა კარტოფილის, ჭარხლისა და ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის დარგშიც.

პროფესორ რ. მახარობლიძის მოსაზრება, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის დარგში დათმეს მოწინავეობა, სრული ჭეშმარიტებაა. ვნახოთ რა მდგომარეობაა ბარის პირობებში? შეხვალთ თუ არა ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობების სამანქანო პარკებში, შეამჩნევთ ბევრ ისეთ მანქანას, რომელიც ჩვენს პირობებში ვერ ამართლებს და ამის გამო ვერ იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგჯერ მეცნიერულ საფუძველს არ ემყარება რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ზოგჯერ აგრომრეწვის მუშაკები ჩივიან — მეურნეობებიდან დაკვეთები არ მგვიღია და ამიტომ ესა თუ ის მანქანა ან სათადარიგო ნაწილები არა შემოგვაქვსო. ეს მოწმობს, რომ საჭიროა გამართულები ტექნიკის შემოტანისა და რაოდენობის დადგენაში აქტიურად მონაწილეობდნენ მეცნიერები, სპეციალისტები და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების საინჟინრო სამსახურები.

ახლა, როცა მზადდება საფუძველი უმაღლესი სკოლის რეფორმისათვის და კიდევ უფრო იზრდება ამ სასწავლებლების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საჭიროა არსებითად გარდაიქმნას აქაური პედაგოგიური პერსონალის სამუშაო პირობები და დამოკიდებულება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი. ამით მკვეთრად გაუმჯობესდება სპეციალისტთა მომზადებისა და წარმოებაში გამოკვლევათა შედეგების დანერგვის საქმე.

ბ. ბეგელიძე,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობა-მელიორაციის ფაკულტეტის კათედრის გამგე.

რესპუბლიკის კომკავშირი: ბარდაქმნის ამოცანები

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ კომკავშირულ ... ძნელაძეში გაიმართ... ოველის აღკკ ცენტრა... ამიტეტის პლენუმი, რომ... ანიხილა რესპუბლიკის ... ის ამოცანები, სკკპ ცე... ი კომიტეტის 1986 წლის ... პლენუმის გადაწყვეტილე... ... ...ᲣᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ მისი ორგანიზა... ლი და პოლიტიკურ-აღმრ... ობითი მუშაობის გარდაქმნის ... იმდინარობა. მოხსენება გა... ა საქართველოს აღკკ ცენტრა... ური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. მარგველიძემ.

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმით გამოწვეული საქმიანი განწყობილება, პარტიული პრინციპულობის, მომთხოვნელობისა და სიმართლის ატმოსფერო მხურვალედ მოიწონა მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ. პლენუმების გადაწყვეტილებანი გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს რესპუბლიკის კომკავშირს, ყოველი მისი ორგანიზაციის საქმიანობას, რომლის მუშაობის ქვაკუთხედი უნდა იყოს ახალგაზრდა კაცი, მისი ცხოვრებისეული გეგმები და ინტერესები. რესპუბლიკის კომკავშირსა და ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ უდიდესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის განვითარებაში, სასკოლო რეფორმის განხორციელებაში.

მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია ფაქტები, როცა ინიციატივას აბრკოლებენ ქაღალდმთხზველობა, ფორმალიზმი. მაგალითად, სოციალისტურ შეჯიბრებაში თავიანთ წარმატებებს თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების წევრები იგებდნენ მხოლოდ... პრემიის სიდიდით. ჯერ კიდევ ცოტა კომკავშირელი იბრძვის პირადი და ბრიგადული დამღით, „ხარისხის კომკავშირული გარანტიით“ მუშაობს უფლებისათვის. ეს მოწმობს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის, აგრეთვე კომკავშირის რაიკომის მიერ ხელმძღვანელობის დაბალ დონეს.

სუსტად წარმოებს ახალგაზრდობის მომზადება, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის, მოუგვარებელია სტუდენტთა და მოსწავლეთა თვითმმართველობა. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლ ე ბ ი ს, სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლ ე ბ ი ს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, აღინიშნა პლენუმზე, ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესონ ახალგაზრდობის აღზრდა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში კომკავშირის როლის გადიდება მოითხოვს კომკავშირის კომიტეტების მუშაობის სტილის გარდაქმნას. ძველი, გაცვეთილი მეთოდები, როგორც პრაქტიკა მოწმობს, თავიანთ დანიშნულებას ვეღარ ასრულებენ. გარდაქმნის გზა არის ინდივიდუალური მიდგომის გაძლიერება, მუშაობის სიმძიმის ცენტრის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში გადატანა. დღის მოთხოვნაა ნაკლები ქაღალდმთხზველობა, სასხდომო ფუსფუსი, და მეტი ცოცხალი, პრაქტიკული მონაწილეობა ხალხის შრომითს საქმეებში.

პლენუმმა განიხილა საქართველოს კომკავშირის მორიგი XXXIII ყრილობის მოწვევის საკითხი. მიღებული გადაწყვეტილება მოწვიონ ყრილობა თბილისში 1987 წლის მარტში.

პლენუმმა ცნობად მიიღო ინფორმაცია რესპუბლიკის აღკკ ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმის შემდეგ საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს საქმიანობის შესახებ.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ა. შარაშიძე, რომელიც საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ მუშაობდა.

პლენუმზე კომკავშირულ მუშაკთა ჯგუფს გადაეცა რესპუბლიკის აღკკ ცენტრალური კომიტეტის ჯილდოები. (**ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ**).

„პარტიული სიტყვა“ № 17

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეჩვიდმეტე ნომერი.

ანშლაგით „რაც ყრილობამ დაგვისახა“ დაბეჭდილია სარედაქციო წერილი — მოვაშოროთ შეჯიბრებას ფორმალიზმის ჟანგი.

რუბრიკით „სწავლა სინათლეა!“ გამოქვეყნებულია ლ. გოგუას — ცოდნისაკენ!

განყოფილებაში „კარგ გამგონეს, კარგი მთქმელი უნდა“, თქვენ გაეცნობით ც. შავგულიძის — გარდაქმნა დიდად საჭიროა.

ანშლაგით „ეკოლოგია და იდეოლოგია“ დაბეჭდილია ნ. ელიზბარაშვილის წერილი — ჩვენი განუყოფელი ნაწილი.

რუბრიკით „ასეთია დროის მოთხოვნა“ გამოქვეყნებულია გ. ქოქიაშვილის — ბედი ქართული ვაზისა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი“, „განგაშის ზარი!“, „იყავ მომჭირნე!“; „გეწერენ, შენიშნავენ, ამხილებენ“; „ინფორმაცია — 86“; „თუ კითხვა გაჩნდა, პასუხი უნდა გაეცეს“; „ჩვენი თანამემამულენი მოძმე რესპუბლიკებში“; „ამ ტრიალ ქვეყანაზე“; „ჩერნობილის გაკვეთილები“; „კარაბადინი“; „რაც არ გვერგება, არც უნდა შეგვერგოს!“; „რა არ ხდება“; „წინაპარნი შეგვახსენებენ“; „ხუმრობა იქით იყოს“.

ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყანა, მთელი მსოფლიო ცხოვრობს და საქმიანობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის გარდამტეხ ეტაპზე, თვისებრივად ახალ სტადიაზე. მან მოითხოვა პასუხი კითხვაზე: რა ვაკეთოთ და როგორ ვაკეთოთ ამ განსაკუთრებულ ხანაში?

სკკპ XXVII ყრილობამ გააანალიზა ახლანდელი შემობრუნების დრო და შეიმუშავა მისი შესაბამისი ახლებურად აზროვნებისა და ახლებურად მოქმედების სახელმძღვანელო. მან განავითარა და გამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, მისი სოციალიზმის სოციალურ-პოლიტიკური თეორია ახალი დებულებებით, ცნებებითა და კატეგორიებით. ყრილობამ ორერთიანი სტრატეგიული ამოცანა დასახა: მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლა და დაჩქარების მეშვეობით საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევა, სოციალიზმის სრულყოფა, რომელიც საბოლოო ანგარიშით კომუნიზმის გამარჯვებამდე მიგვიყვანს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐᲛ ყრილობაზე პოლიტიკურ მოხსენებასა და პროგრამის ახალ რედაქციაში შეიმუშავა საერთაშორისო ურთიერთობის ახალი კონცეფცია, რომელმაც ახლებურად დააყენა ომისა და მშვიდობის პრობლემა ბირთვულ-კოსმოსურ ეპოქაში.

ომის, როგორც შეიარაღებული შეტაკების, ისტორია ძველისძველი დროიდან მოდის. ომი საზოგადოების ისტორიის აუცილებელი თანამგზავრი გახდა. იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენად იქცა კლასობრივ საზოგადოებაში. ომების გარდაუვალობამ საყოველთაო აღიარება პოვა. ადამიანების ომი საუკუნეების მანძილზე ნორმალურ მდგომარეობად, „მისაღებად და დასაშვებად“ მიაჩნდათ ხალხთა ცხოვრებასა და ურთიერთობაში.

ამ საერთოდ მიღებულ წარმოდგენას ვერც ის ცვლიდა, რომ მოწინაგე მოაზროვნეებს ძველი დროიდან აღელვებდათ ომისა და მშვიდობის პრობლემა და ეძებდნენ ომების მოსპობისა და მარადიული მშვიდობის დამყარების საშუალებებს. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია კანტისა და რუსოს მარადიული მშვიდობის უტოპიური თეორიები. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენში ილიამ დაინახა და განახილა „შეთოფდანებული მშვიდობიანობად“ წოდებული „მილიტარობა ევროპაში“, რომელიც კაცობრობის კეთილდღეობის „სულის შემხუთავი და დამღუპავია“, ხოლო ნიკოლაძემ შეიმუშავა განიარაღების, „მეზობლებთან მშვიდობიანობის ჩამოგდებისა და საშინაო ეკონომიკათვის ზრუნვის“ პროგრამა.

გავრცელდა და დამკვიდრდა ის ცნობილი დებულება, რომ ომი სახელმწიფოს პოლიტიკის გაგრძელებაა ძალადატანების, იარაღის საშუალებით. ომი და მშვიდობა ერთმანეთს ენაცვლებოდა ხალხთა ცხოვრებაში. როცა პოლიტიკა კალმით მიზანს ვერ აღწევდა, მას მახვილი ცვლიდა. პოლიტიკის ხასიათის შესაბამისად იცვლებოდა ომების სახეობანი. ბირთვულმა ეპოქამ ეს დებულება მოძველებულად აქცია, ისტორიის ეკუთვნილად გახადა და ახალი პოლიტიკური აზროვნება მოითხოვა.

ომებს დიდი უბედურება მოქონდა. წინათ ომებში იღუპებოდნენ ადამიანები, ნადგურდებოდნენ ხალხები, ისპობოდნენ სახელმწიფოები. მაგრამ კაცობრიობა განაგრძობდა არსებობას, სოციალური პროგრესი კი ანტაგონისტური გზით განვითარებას. ისტორიაში ომს გარკვეული სოციალური ფუნქცია ჰქონდა, პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდა და პროგრესულ თუ რეაქციულ როლს ასრულებდა. ახლა ვითარება თვისებრივად შეიცვალა. ჩვენს მკვეთრ გარდამტეხ ხანაში განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ორგვარი, წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი და გამანადგურებელი შესაძლებლობანი. იგი თვისებრივი ნახტომია ადამიანთა მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობათა განვითარებაში და ნგრევის საშუალებათა შესაძლებლობაში. მან კაცობრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. ბირთვული იარაღი არ შეიძლება პოლიტიკის საშუალება, ინსტრუმენტი იყოს. ბირთვულ საომარ კონფლიქტში აღარ დარჩება არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. მაგრამ შეიძლება დაიღუპოს მსოფლიო ცივილიზაცია, საერთოდ ადამიანთა მოდგმა და დედამიწა წყვდიადით მოცულ უსიცოცხლო უდაბნოდ იქცეს.

პარტიამ გააანალიზა მსოფლიოში შექმნილი ეს ახალი ობიექტური პირობები და გამოიტანა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები, რომ ახლა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ორთაბრძოლა შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ შეჯიბრებისა და მშვიდობიანი მეტოქეობის ფორმით. ეს საღი, რეალისტური, პოლიტიკური აზროვნება გაჭირვებით არღვევს კაპიტალისტური სამყაროს მმართველი კლასის ცნობიერებაში გამჯდარ ცოტოწშენას, რომელიც ისევ თვლის, რომ ბირთვული იარაღი და ბირთვული ომი პოლიტიკის საშუალებაა.

მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში საბჭოთა ტელევიზიით, ნათქვამია: „ახლა ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ ომზე, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაზე, ძველმა წარმოდგენებმა უკვე მოჭამა თავისი დრო, ბირთვულ ეპოქაში ეს დრომოჭმული დოგმატები კვებავს პოლიტიკას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო ხანძარი“.

მშვიდობის შენარჩუნება ისტორიული აუცილებლობა გახდა, კაცობრობის ყველა ხალხების საერთო პასუხისმგებლობის საგნად იქცა. ბირთვულ საუკუნეში კაცობრობის გადარჩენის პრობლემა ზოგადსაკაცობრიო ამოცანაა წინააღმდეგობრივ, მაგრამ მთლიან სამყაროში. იგი მოითხოვს კაცობრიობის ბედისადმი საერთო პასუხისმგებლობის შეგნებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი ითვალისწინებს, რომ ადამიანი, მისი ცხოვრება, ყველაზე დიდი ღირებულებაა ქვეყანაზე, „საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები პროლეტარიატის ინტერესებზე მაღლა დგას“ (ლენინი). მაგრამ ბირთვულ ეპოქაში, მშვიდობის საკითხში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები და საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

მსოფლიოში შექმნილმა ახალმა რეალობამ ბრძოლის მთავარ მიმართულად გახადა ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფა და გვაიძულა ახლებურად შეეფასოთ მთელი კომუნისტური მოძრაობის ძირითადი მნიშვნელობა. პოლიტიკურ მოხსენებაში საერთ

უკვდავი სახება

ილია ჭავჭავაძის იკონოგრაფიისათვის

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას არაერთი ფუნდამენტური მონოგრაფია, გამოკვლევა თუ დოკუმენტური პროზის ნიმუში მიეძღვნა. მაგრამ, ეფექრობთ, მადლიერი შთამომავლობისთვის არანაკლებ ძვირფასია დიდი მგოსნისა და თავდადებული მამულიშვილის იკონოგრაფიით გაცოცხლებული ცხოვრება და მოღვაწეობა.

დღეს გაზეთი „კომუნისტი“ იწყებს და საიუბილეო თარიღამდე განაგრძობს დიდი ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოდოკუმენტების. ბეჭდვას, რომლებიც შეკრიბა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბუხამ შარაძემ.

ილია ჭავჭავაძის იკონოგრაფიიდან ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიხარულით შეხვედლილი და დაფასებული: ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი, ზოგი კიდევ — უცნობი და გამოუქვეყნებელი, ხოლო ნაწილობრივ უკვე კარგად ცნობილი სურათების ხვა კუთხით დანახვა ახალ შტრიხს მატებს პოეტის ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს...

სწორედ ასეთი პუბლიკაციები იქნება „კომუნისტს“, ხოლო სრულად საიუბილეოდ გამოსცემს გამომცემლობა „ხელოვნება“ წიგნ-ალბომად.

ILIA ჭავჭავაძის ბავშვობის წლები დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ფოტოგრაფია მსოფლიოში ის-ის იყო ფეხს იდგამდა.

როგორც ვიცით, პარიზის აკადემიას ამ სასწაულებრივი აღმოჩენის შესახებ პირველად 1839 წლის 7 იანვარს მოხსენება, ხოლო თბილისში პირველი ფოტოსახელოსნოები ამ აღმოჩენიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ — 1840-იან წლებში უკვე მუშაობდნენ.

ილია ამ დროს (1848 წლამდე) ყვარელში ცხოვრობდა და ამიტომ მისი ბავშვობისდროინდელი ფოტოსურათები არ შემოგვრჩენია. სამაგიეროდ, შთამომავლობას გადაურჩა ილია ჭავჭავაძის უკვდავი სახება თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე... ასევე ფოტოკადრებმა შემოგვინახა თვით წიწამურის ველზე დატრიალებული ეროვნული ტრაგედიით გამოწვეული საყოველთაო სახალხო გლოვისა და მოწამებრივად აღსრულებული პოეტის გრანდიოზული დასაფლავების ცალკეული ეპიზოდებ!

ილიას იკონოგრაფიის ერთად თავმოყრისა და პუბლიკაციის პირველ სერიოზულ ცდად უნდა ჩაითვალოს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეს მიხეილ გედევანიშვილის (1862-1922) რედაქციით 1914 წელს მდიდრულად გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი, რომელშიც ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი არაერთი იშვიათი ფოტოსურათია შესული. ამ გამოცემისათვის შეგროვებულ ფოტოდოკუმენტთა დედნების კოლექცია მ. გედევანიშვილის ოჯახმა 1931 წელს უსასყიდლოდ გადასცა მაშინ ახლად დაარსებულ ქართველ მწერალთა მთაწმინდის მუზეუმს, რომელიც დღეს გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმად იწოდება და სადაც დაცულია ჩვენი ახლო წარსულის ეს უძვირფასესი განძი.

ᲪᲐᲚᲙᲔ აღსანიშნავია 1959 წელს ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოსული წიგნ-ალბომი „ილია ჭავჭავაძე — პორტრეტები და ილუსტრაციები“ (შემდგენლები — ნ. ალანია, ლ. მახარაძე, ჯ. დადიანი, წინასიტყვაობის ავტორი — დ. გამეზარდაშვილი, გრაფიკული გაფორმება ლ. გრიგოლიანი).

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ცალკეული ფოტოდოკუმენტების პუბლიკაციები გვხვდება პ. ინგოროყვას, გ. ლეონიძის, გ. ჯიბლაძის, ალ. კალანდაძის, შ. გოზალიშვილის, დ. შოლიაშვილის და სხვათა გამოცემებსა თუ გამოკვლევა-მონოგრაფიებში...

ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავის საიუბილეოდ შეეცადეთ ნაწილობრივ მაინც ერთად მოგვეყარა თავი მრავალ სამუზეუმო ფონდსა თუ კერძო კოლექციებში გაფანტული უძვირფასესი მასალისათვის და ფოტოდოკუმენტურად თანმიმდევრობით გაგვეცოცხლებინა ჩვენი დიდი სულიერი წინაპრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მარად უქმნელი მატიანის ფურცლები, თვალი გაგვედევნებინა — რა გზა გაიარა 1837 წლის 27 ოქტომბერს ყვარელში დაბადებულმა ყრმამ, სანამ 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურის ველზე ტრაგიკულად დაღუპული 70 წლის მოხუცი პოეტი მთაწმინდის უკვდავი ბინადარი გახდებოდა!..

* * *

პირველ სურათზე ილია ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად არის გამოსახული (დგას მარჯვნიდან პირველი) ტრადიციული შეხედულებით (იხ. ლიტ. მუზ., №8255; „ლიტ. მატიანე“, წ. 1-2, თბ., 1940, გვ. 132, შდრ. გვ. 163) აქ, თითქოს, ილია პოლონელ სტუდენტებთან ერთად არის გადაღებული 1859 წელს, ესე იგი მაშინ, როდესაც ილია პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსზე სწავლობდა და უკვე 22 წლის ჭაბუკი იყო. მაგრამ არც ჩაცმულობა და არც ასაკი ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას არ გვაძლევს. ილიას გიმნაზიელის ფორმა აცვია, ხოლო მასთან ერთად გადაღებული „პოლონელი სტუდენტი“ ჩოხა-ახალუხშია გამოწყობილი და თავზე ბოხოხიც ახურავს, თანაც ილია აქ ასე, 15-16 წლის ყმაწვილი თუ იქნება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ფოტოსახელოსნის ღარიბული მოწყობილობა, რაც არ ჰგავს რუსეთის იმპერიის სატახტო ქალაქის ბრწყინვალე ფოტოსალონებს. ასე რომ, აღნიშნული სურათი დაახლოებით 1854 წელს უნდა მივაკუთვნოთ, როცა ილია თბილისის გიმნაზიის VI კლასის მოწაფე იყო და მასთან ერთად გიმნაზიაში ქართველ თავადაზნაურთა შვილებთან ერთად ბევრი არა-ქართველი ახალგაზრდაც სწავლობდა. ამიტომ ფოტოზე მოულოდნელი არ უნდა იყოს მათი გამოჩენა. აღნიშნული ფოტოსურათი 1859 წელს ილიას სტუდენტობისას რომ არ არის გადაღებული, ნათლად ჩანს ილიას მართლაც სტუდენტობის დროინდელ 1859 წლის სურათთან (№ 3) შედარებიდანაც, რომელზედაც ილია უკვე მოწიფული ჭაბუკია წარმოდგენილი და ევროპულადაც აცვია.

მეორე სურათზეც, გავრცელებული შეხედულებით, თითქოს გამოსახულია „პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე“ (იხ. გ. ლეონიძე, მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 551). დაგეროტიპული ორიგინალი ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. ჩვენი აზრით კი, ილია აქაც ჯერ გიმნაზიელია, ოღონდ უკვე დამამთავრებელი, VIII კლასის მოწაფე, ესე იგი 19-20 წლისა. ტრადიციული შეხედულება რომ სწორი არ უნდა იყოს, იქიდანაც ჩანს, რომ პირველ სურათზე ილია გაცილებით უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე მეორეზე, მაშასადამე, იგი მეორეზე (1857 წ.) გვიან (1859 წ.) ვერ იქნება გადაღებული. ასე რომ, ილიას მეორე სურათიც თბილისში უნდა ჰქონდეს გადაღებული და 1856-57 წლებით დათარიღდეს, სანამ იგი 1857 წლის ზაფხულში პეტერბურგს გაემგზავრებოდა.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘ: ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲗᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

ᲝᲗᲮ თვეზე მეტი ხანია გრძელდება შეუპოვარი ბრძოლა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის. დიდი მასშტაბის, ენერგიული ღონისძიებების განხორციელებამ შესაძლებელი გახადა კარდინალურად შეცვლილიყო ვითარება ატომურ ელექტროსადგურში და ახლომდებარე ტერიტორიაზე. ახლა სამუშაოთა დამამთავრებელი პერიოდი დადგა. ამის შესახებ უამბო საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ გ. გ. ვედერნიკოვმა.

— ავარიის ლიკვიდაციის ღონისძიებების მუშაობის ერთ-ერთი სახეა წყალდამცველ ნაგებობათა მშენებლობა, გეგმით გათვალისწინებულია 131 მფილტრავი და დამცავი ნაგებობის აშენება. სადღეისოდ აშენებულია 111, დანარჩენი 20 კი მალე დამთავრდება. 25-26 სექტემბერს ივეკი-ის უკანასკნელი კამბალი ბელორუსიის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით აღარ არის საშიშროება, რომ წყალი შეიძლება რადიაციული გახდეს წყალდიდობის დროს.

მიმდინარეობს აქტიური მუშაობა იესის ტერიტორიის დეზაქტივაციისათვის. სადღეისოდ იგი პრაქტიკულად დამთავრების სტადიაზეა. სექტემბერში სადგურის სამრეწველო მოედანი მთლიანად დეზაქტივირებული იქნება.

მთავარია ეგრეთ წოდებული „სარკოფაგის“ შენებლობა ავარიული მეოთხე ბლოკის თავზე. ეს სამუშაოები პრაქტიკულად ივლისის დამლევს გაიშალა და უკვე მათი უზარმაზარი მოცულობაა შესრულებული.

დღეს რეაქტორი უფრო ნაკლებ რადიოაქტიურ ნივთიერებას გამოყოფს, ვიდრე ჩვეულებრივი ატომური სადგური. ჰაერი სადგურის თავზე სუფთაა. მონტაჟდება ვენტილაციის სპეციალური სისტემა, რომელიც შემდეგ შეინარჩუნებს რეჟიმს დაბურულ „სარკოფაგში“. დაიდგა კონტროლის ხელსაწყოები. ეს საშუალებას გვაძლევს დღეს გვქონდეს სრული ინფორმაცია რეაქტორის ქცევის შესახებ.

კითხვაზე, თუ როგორ მდგომარეობაშია ახლა აესის პირველი და მეორე ენერგობლოკები და როდის მოგვცემენ ისინი დენს, მთავრობის კომისიის ხელმძღვანელმა თქვა, რომ სათავსები დეზაქტივირებულია და ნორმალურად მუშაობის შესაძლებლობას უქმნიან სარემონტო და საექსპლოატაციო პერსონალს.

სავარაუდოა, რომ ოქტომბერში — ნოემბრის დამდეგს ბლოკები ამუშავდება. იწყება მესამე ენერგობლოკის დეზაქტივაცია. ისიც ემზადება იმისათვის, რომ გარკვეული დროისა და რევიზია-შემოწმების შემდეგ შეიძლებოდეს მისი მოწყობილობის ამოქმედება. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲜ).

ძირეული გარდატეხის, რევოლუციური გარდაქმნის ეტაპის დასაწყისი და გენერალური კურსის დედაარსი ფორმულის სახით ასე ჩამოაყალიბა: სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის არსებითად დაჩქარების მეშვეობით საზოგადოების ახალი თვისობრივი მდგომარეობის მიღწევა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა შეიმუშავა დაჩქარების კონცეფცია და განსაზღვრა დაჩქარების სტრატეგია, ხოლო პარტიის XXVII ყრილობამ დაასაბუთა და შემდგომ გაანავითარა იგი. დაჩქარების კონცეფციამ ახალი შინაარსის ცნების, კატეგორიით შეავსო მეცნიერული კომუნიზმის თეორია და პრაქტიკა.

მისი მატერიალიზაცია მოასწავებს ეკონომიკის დარგში — სახალხო მეურნეობის გადაყვანას ინტენსიური განვითარების რელსებზე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების, პროდუქციისა და წარმოების ეფექტიანობის უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევას; სოციალურ დარგში — ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის უზრუნველყოფას შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელების დროს; ძირითადად უკლასო საზოგადოების სტრუქტურის შექმნას, ქალაქსა და სოფლის შორის ბრსებითი სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების გაქრობას; საბჭოთა ხალხის როგორც სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის შემდგომ შეკავშირებას; პოლიტიკურ დარგში — ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაშლას იმ გზით, რომ სულ უფრო სრულად ჩაებამა მოქალაქენი სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში; სულიერი ცხოვრების დარგში — ადამიანების შეგნებაში სოციალისტური იდეოლოგიის შემდგომ განმტკიცებას, სოციალიზმის მორალური პრინციპების სრულ დამკვიდრებას, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას.

დაჩქარების კონცეფციის განხორციელება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლა იქნება, მოხდება სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფა ცხოვრების ყველა სფეროში. ეს იქნება უთუოდ სოციალისტურ თვისობრიობაში ახალი თვისობრიობა, რომელიც თავის ადგილს დაიკავებს კომუნისტური ფორმაციის სოციალისტური ფაზის ეტაპობრივ განვითარებაში, იმ პერიოდების ქრონოლოგიაში, რომლებსაც გაივლის საბჭოთა საზოგადოება კომუნიზმისაკენ წინსვლის გზაზე. იგი ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. მისი მიღწევის ქრონოლოგიური საზღვრები, ისტორიული ჩარჩოები, რომლებშიც მოხდება „ახლანდელი პროგრამის შესრულება, სცილდება მომდინარე საუკუნის ფარგლებს“.

დაჩქარების კონცეფციამ წინა პლანზე წამოსწია და უყურადღების ცენტრში დააყენა ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერება, რადგან სოციალისტური საზოგადოება ვითარდება ხალხთა მასების შეგნებული და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად. ისტორიული ამოცანების მასშტაბურობა მოითხოვს საბჭოთა ხალხის ბატონპატრონულად დაინტერესებულ შემოქმედებით საქმიანობას ცხოვრების ყველა სფეროში.

ხალხია ისტორიის შემოქმედი. მაგრამ იგი უპირველეს როდია. საზოგადოებას ქმნიან კონკრეტული ადამიანები, განსხვავებული ინდივიდუალური ნიშნით და ნებისყოფით, საკუთარი ინტერესებითა და მისწრაფებებით. ენგელსი წერდა: „როგორიც უნდა იყოს ისტორიის მსვლელობა, ადამიანები მას ასე აკეთებენ: თითოეული ადამიანი თავის საკუთარ, შეგნებულად დასახულ მიზანს მისდევს; მრავალი სხვადასხვა მიმართულებით მომქმედი ნებისყოფა და მათი მრავალმხრივი ზემოქმედება გარეგან ქვეყნიერებაზე, რეზულტატში ისტორიას იძლევა. მაშასადამე, საკითხავია, რა სურს ამ მრავალ ცალკე პიროვნებას? ნებისყოფა განისაზღვრება ან ვნებათაღელვით ან მოფიქრებით“.

ეს განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ პოლიტიკაში გათვალისწინებულ იქნეს არა ეარტო კლასების, სოციალური ჯგუფების ინტერესები, არამედ პიროვნების ინტერესები როგორც საზოგადოების მართვის, ისე იდეოლოგიური, იდეურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, რომ ყოველ ადამიანს ესმოდეს „ახლანდელი მომენტის სიმწვავე, მისი გარდამტეხი ხასიათი“ და ზრდიდეს თავის შრომით და საზოგადოებრივ აქტიურობას, ენერგიას, ინიციატივას. ლენინი წერდა: „რაც უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ, და, პირიქით, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები“.

პარტიის თეორიული აზროვნების ცენტრში დგას ჩვენი საზოგადოების, მთლიანად მთელი მსოფლიოს განვითარების თანამედროვე, გარდამტეხი ხასიათიდან გამომდინარე დაჩქარების ამოცანების პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური, კულტურულ-სულიერი და ფსიქოლოგიური ურთიერთდაკავშირებული ასპექტების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა. ჩვენ უაღრესად გვჭირდება, აღინიშნა ყრილობაზე, სერიოზული ფილოსოფიური განზოგადებანი, დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური პროგნოზები, ღრმა ისტორიული გამოკვლევები.

საზოგადოებამცოდნეობა „გალმხრივი ზემოქმედება გარეგან ქვეყნიერებაზე, რეზულტატში ისტორიას იძლევა. მაშასადამე, საკითხავია, რა სურს ამ მრავალ ცალკე პიროვნებას? ნებისყოფა განისაზღვრება ან ვნებათაღელვით ან მოფიქრებით“.

ეს განაპირობებს იმის აუცილებლობას, „რომ პოლიტიკაში გათვალისწინებულ იქნეს არა ეარტო კლასების, სოციალური ჯგუფების ინტერესები, არამედ პიროვნების ინტერესები როგორც საზოგადოების მართვის, ისე იდეოლოგიური, იდეურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით, რომ ყოველ ადამიანს ესმოდეს „ახლანდელი მომენტის სიმწვავე, მისი გარდამტეხი ხასიათი“ და ზრდიდეს თავის შრომით და საზოგადოებრივ აქტიურობას, ენერგიას, ინიციატივას. ლენინი წერდა: „რაც უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ისტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფრო მეტია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ მოქმედებაში მონაწილეობენ, და, პირიქით, რაც უფრო ღრმაა გარდაქმნა, რომლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ თეორიული აზროვნების ცენტრში დგას ჩვენი საზოგადოების, მთლიანად მთელი მსოფლიოს განვითარების თანამედროვე, გარდამტეხი ხასიათიდან გამომდინარე დაჩქარების ამოცანების პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალური, კულტურულ-სულიერი და ფსიქოლოგიური ურთიერთდაკავშირებული ასპექტების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა. ჩვენ უაღრესად გვჭირდება, აღინიშნა ყრილობაზე, სერიოზული ფილოსოფიური განზოგადებანი, დასაბუთებული ეკონომიკური და სოციალური პროგნოზები, ღრმა ისტორიული გამოკვლევები.

საზოგადოებამცოდნეობა „გარდაქმნის“ კატეგორიით შეიცავს და გალრმავდა. მ. ს. გორბაჩოვმა გარდაქმნასა და რევოლუციას შორის პარალელი გაავლო და მათ შორის ტოლობის ნიშანი დასვა. გარდაქმნა ტექადი ცნებაა. იგი რევოლუციაა, თვისებრივი ცვლილებაა საზოგადებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, აზროვნებასა და მოქმედებაში და ისეთი საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნაა, რომელიც კომუნისტურ მსოფლგაგებასა და სოციალისტური ცხოვრების წესს შეესაბამება. ჩვენ გვშამს, წერდა ლენინი, „სამდგილი სისწრაფე“ ისტორიული განვითარების ყოველგვარ პერიოდთან შედარებით და რომ „ისეთ სისწრაფეს ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ“, თუ მოძრაობას ხელმძღვანელობს ნამდვილი რევოლუციური პარტია.

გარდაქმნის პირველი შედეგები და გაკვეთილები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის იანვისის პლენუმმა შეაჯამა, გვიჩვენებენ, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებს პოზიტიური ტენდენციები, გარკვეულად გაიზარდა პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა. მაგრამ თვისებრივი გარდაქმნა, რომელიც დაჩქარების ტენდენციას ნამდვილად შეესაბამება, ჯერ კიდევ არ მომხდარა ქვეყანაში. გარდაქმნის პროცესი აწყდება დამბრკოლებელ ფაქტორებს, რომლებიც ზოგჯერ ობიექტურ ხასიათს ატარებს, მაგრამ მეტწილად მოსდევს „ინერციას, ძველსა და რბილში გამჯდარ ჩვეულებებს, გაყინულ ფსიქოლოგიას“.

სიახლის დანერგვა, მთელი საზოგადოების გარდაქმნის რთული პროცესი მოითხოვს დიდ ჯაფასა და სერიოზულ ცვლილებებს ყველა მშრომელის აზროვნებაში. ამოცანა ის არის, „ჩანაფიქრის ენერგია მოქმედების ენერგიად ვაქციოთ“. მასზეა დამოკიდებული სოციალიზმის ბედიღბალი, მისი აწმყო და მომავალი.

ᲚᲔᲝ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲙᲐ
ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ: ლენინური პარტია, რომელიც ახორციელებს გრანდიოზულ ცვლილებებს, საბჭოთა მშრომელებს რომ დაუსახა მიზნად სკკპ XXVII ყრილობამ, ხელმძღვანელობს იმით, რომ ყველაზე პროგრესული საგარეო პოლიტიკა მტკიცე ბაზას უნდა ეყრდნობოდეს, — წერს **„რაბოჩნიჩესკო დელო“**. მთელი პლანეტის ადამიანებმა უნდა შეიგნონ, რომ ლაპარაკობს რა გარდაქმნაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ზრუნავს არა მარტო საბჭოთა ხალხის უკეთესი მომავლისათვის, არამედ — სსრ კავშირის უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის, მისი სამშვიდობო პოლიტიკის შეტევითი ხასიათის გათვალისწინებით — ყველა ქვეყნისა და ხალხის მომავლისათვის. იმისათვის, რომ განახორციელოს უომო მსოფლიოს პროგრამა, საბჭოეთს სჭირდება მძლავრი ეკონომიკა, შეკავშირებული ხალხი, მტკიცე თავდაცვა. აი შედეგები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს უნდა მოჰყვეს ახლა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნას.

ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲚᲝᲒᲐᲩᲝᲕᲘᲡ: დაადასტურა „რუდე პრავოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში ჩამოყალიბებული სსრ კავშირის პოზიცია საბჭოთა ბირთვული გამოცდების მორატორიუმის განგრძობასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა სრულიად საფუძვლიანად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თავის პოლიტიკას გულდაჯერებით და მტკიცედ ახორციელებს, როგორც ეს შეეფერება პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს, აღნიშნა **ჩეხოსლოვაკიის რადიოს** მიმომხილველმა. თუმცა მილიტარისტული წრეების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება ძნელია, ამერიკელი ხალხი, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხი, დაინტერესებულია მშვიდობით. ამიტომ მოსკოვი ხელმძღვანელობს იმით, რომ ადამიანებს ეუოფათ მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობის გაგება. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ წინ არწასვლამ, და მით უმეტეს უკან დახევამ შეიძლება მრავალი წლით დააყენოს ორი სახელმწიფო კონფრონტაციისა და საშიში წინააღმდეგობის პოზიციებზე.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ: მხურვალედ მივესალმებით საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული აფეთქებების ცალმხრივი მორატორიუმის განგრძობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოვუწოდებთ მიბაძოს სსრ კავშირის მაგალითს, განაცხადა ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში ბირთვული შეიარაღების გაყინვისათვის ეროვნული კამპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა **მ. იმერსომ.** მსოფლიო პოლიტიკაში ახლანდელი გონიერებისა და საღი აზრის ტენდენცია შეიძლება განვითარდეს, განმტკიცდეს ბირთვული გამოცდების ურითერთაკრძალვის შეთანხმებით. ამერიკელი მშვიდობის მომხრენი დარწმუნებული არიან, რომ ასეთი შეთანხმების დადება უკვე უახლოეს მომავალში შეიძლება. საჭიროა მხოლოდ ამის პოლიტიკური ნება. მაგრამ ახლა რეიგანის ადმინისტრაცია ამ ნების უქონლობას ცხადყოფს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა ნატოელმა პარტნიორებმა კონსტრუქციული პასუხი უნდა გასცენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადებას, განაცხადა ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ **ჰ. ემკემ.** ახლა საჭიროა შევიმუშაოთ უშიშროების განმტკიცების ერთობლივი კონცეფცია, რომელიც დაგვაძლევინებს საფრთხეს, კაცობრიობის არსებობას რომ უქმნის მასობრივი მოსპობის იარაღი. სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ კოლექტიურ უშიშროებას, განიარაღების, დიალოგის განვითარებისა და ნდობის ღონისძიებათა განმტკიცების ინტერესებისათვის ხელშეკრულებების დადებას. მაგრამ დღეს იზოლება საშიშროება, რომ საბჭოთა კავშირის მიერ შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ მოლაპარაკებისათვის შექმნილი შანსი გამოუყენებელი დარჩება. საქმე ეხება შესაძლებლობას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი დარჩეს კოსმოსი, მიღწეულ იქნეს შეთანხმება ბირთვული არსენალების კვეთრი შემცირებისა და ქიმიური იარაღის სრული მოსპობის თაობაზე. არ შეიძლება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინადადებების უარყოფა, როგორც რაღაც „პროპაგანდისტული მანევრისა“.

ᲔᲒᲘᲞᲢᲘ. მომავალი წლის დადგომამდე საბჭოთა კავშირის ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმის განგრძობა ნიშნავს, რომ სსრ კავშირს არ სურს მონაწილეობდეს გამალებული შეიარაღების გაძლიერებაში, განაცხადა ეგვიპტის ეროვნულ-პროგრესული (შემარცხენე) პარტიის გენერალურმა მდივანმა **ჰალედ მოჰიედ-დინმა.** ბირთვული სახელმწიფოების არსენალებში დაგროვილია იმდენი გამანადგურებელი იარაღი, რომ მრავალგზის შეიძლება პლანეტის მოსპობა. ამიტომ ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვა ხელს შეუწყობს მომაკვდინებელი საშიროების აღმოფხვრას, დასაბამს ჩისცემს გამალებული შეიარაღების ალაგმვის რეალურ ღონისძიებებს. საბჭოთა კავშირის მოქმედება მოწმობს, რომ იგი იღვწის ჭეშმარიტად ჰუმანური მიზნისათვის — კაცობრობისადმი შექმნილი კატასტროფის თავიდან აცილებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ პოზიტიური პასუხი უნდა გასცეს საბჭოთა ინიციატივებს, დაუყოვნებლივ შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება მძიმე პასუხისმგებლობა გამალებული შეიარაღების ახალი, კიდევ უფრო საშიში განვითარებისათვის.

ᲜᲐᲛᲘᲖᲘᲐ: ქვეყნად მშვიდობა ყველას და თითოეულის საქმეა, მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ თანამიმდევრული და უკომპრომისო ბრძოლით, თქვა ადბრეთ-დასალეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **ტო

ტოივომ.** ყველა ქვეყანასა და ხალხს აქ მაგალითს აძლევს საბჭოთა კავშირი — სახელმწიფო, რომელმაც თავისი არსებობის პირველივე დღიდან მშვიდობისათვის ბრძოლა თავისი პოლიტიკის მთავარ მიზნად გამოაცხადა. დღეს მთელი მსოფლიო ვალერთიანება მხურვალედ ეხმიანება და მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებს. მშვიდობის ბედისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სსრ კავშირის ახალი გადაწყვეტილება ბირთვული აფეთქებების ცალმხრივი მორატორიუმის განგრძობის თაობაზე. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბირთვული იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოების მიერ ასეთივე მორატორიუმის შემოღება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსურ სივრცეში მისი გაუვრცელებლობის, აგრეთვე ბირთვული იარაღის რადიკალური შემცირების გზაზე. სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივა კიდევ ერთხელ თვალნათლივ მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმაობს, რათა 1986 წელი ნამდვილად მშვიდობის წელი გახდეს. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲜ).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

◆ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოთა ახალგაზრდა მუშების წარმომადგენლებმა მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს პროგრესულ ახალგაზრდობას დამკვრელური შრომით, მშვიდობისათვის ბრძოლაში ძალისხმევის გაერთიანებით შეხვედნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს.

● ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲒᲐᲖᲠᲝᲑᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ. ნაირფერი ეროვნული დროშებით დამშვენდა უნგრეთის დედაქალაქის საგამოფენო ქალაქი. აქ გაიხსნა ფართო მოხმარების საქონლის ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მსოფლიოს 35 ქვეყნის 1200-მდე ფირმა და საგარეო სავაჭრო გაერთიანება მონაწილეობს.

ყველაზე დიდი ექსპოზიცია საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა. სიახლეებს უჩვენებს სსრ კავრიშ

ვამრავლოთ მხედრული დიდება

(დასასრული)

და მაკეტებით აღჭურვილი სასწავლო კლასები, ისინი თეორიული და პრაქტიკული შეცადინეობის წარმატებით შეხამების შესაძლებლობას იძლევიან.

...პლაცზე ერთიან მწყობრად გარინდულან ზეიმზე ჩამოსული საბჭოთა არმიის მეომრები და ჭაბუკები, რომლებმაც ხვალ მათგან ვაჟკაცობის ესტაფეტა უნდა ჩაიბარონ. საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, გენერალ-მაიორი ლ. ლ. შარაშენიძე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ა. კოჩეტოვს მოახსენებს, რომ კომპლექსი მზად არის გასახსნელად. წვევამდელები მკაფიოდ, ისევე როგორც მათი უფროსი ამხანაგები სამხედრო პარადებზე, წარმოთქვამენ მისალმების სიტყვებს, ისმის სამგზის „ვაშა!“.

ახალი კომპლექსის გახსნა შეკრებილთ მიუღოცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა და გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ა. კოჩეტოვმა.

თვით კომპლექსის სახელწოდება — სამხედრო-სპორტული — ღრმა აზრს შეიცავს: სპორტი ხომ ადამიანს უეთარების ძალას, სიმარჯვეს, კეთილშობილებას, ნებისყოფასა და ენერგიას, ხოლო ახალგაზრდობის ფიზიკურ და ზნეობრივ წრთობაზე უშუალოდაა დამოკიდებული სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემდგომი გამრავლება. ახალგაზრდა თაობა უნდა იზრდებოდეს ჯანსაღი და ლამაზი, ფიზიკურად ძლიერი და ჰარმონიულად განვითარებული, პარტიისა და ხალხის უსაზღვრო ერთგული, ისეთი, რომ, თუ საჭირო გახდა, დაიცვას საბჭოთა სამშობლო ყოველგვარი ხელყოფისაგან, — აღნიშნეს ორატორებმა. თუ შეძლო საბჭოთა ხალხმა უთანასწორო ბრძოლაში დაეცვა თავისი რევოლუციური მონაპოვრები, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თუ შეძლეს მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისთავადი კულტურის, საკუთარი ენის შენარჩუნება საბჭოთა კავშირის, მათ შორის საქართველოში მცხოვრებმა ხალხებმა, ეს, უწინარეს ყოვლისა, მათი შვილების პატრიოტიზმის, ვაჟკაცობის, სიმამაცის, სიმედგრის წყალობაა.

არმიელი წრთობა ყოველი ჭაბუკისათვის სასარგებლოა. იგი არა მარტო ფიზიკურად ავითარებს მას, არამედ სულის სიმტკიცესაც ჰმატებს და პოლიტიკურ თვალსაწიერსაც უფართოებს. არმია ახალგაზრდას სძენს ერთიანი დისციპლინით და საერთო მიზნით გაერთიანებულ თანამოაზრეთა დიდ კოლექტივში ურთიერთობის ჩვევებს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია დღეს, როცა სკკპ XXVII ყრილობამ პრინციპულად ახალი ამოცანები დაუსახა საბჭოთა საზოგადოებას, როცა გამალებით მიმდინარეობს გარდაქმნა ეკონომიკაში და ადამიანების შეგნებაშიც, ძლიერდება მათი ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა ყოველი საქმის საბოლოო შედეგისათვის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის. არმია ჭაბუკთ ასწავლის ურთიერთგატანას, საშუალებას აძლევს მათ შეიგრძნონ ერთობის ძალა, უყალიბებს ინტერნაციონალისტურ ცნობიერებას.

საბჭოთა საზოგადოებაში, ხაზგასმით აღინიშნა დღესასწაულზე, არ არის და ვერც იქნება აღვირაშეებული ომის ისტერია, ქვეყნის კონსტიტუცია კრძალავს ყოველგვარი ფორმის ომის პროპაგანდას. სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ბოლოდროინდელმა ფართო ინიციატივებმა, მეტადრე, საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ ბირთვული გამოცდების ცალმხრივი შეწყვეტის, ბირთვული აფეთქებების მორატორიუმის მომავალი წლის იანვრამდე გაგრძელების თაობაზე, მსოფლიო საზოგადოებრიობის საყოველთაო მოწონება და მხურვალე მხარდაჭერა პოვა. პირიქით, ის, რომ რეიგანის ადმინისტრაციას არ სურს საფუძვლიანი პასუხი გასცეს სამშვიდობო წინადადებებს, და რომ იგი აჩაღებს ანტისაბჭოურ ისტერიას, სულ უფრო ადასტურებს დასავლეთის ზოგიერთი წამყვანი ქვეყნისა და მათი მეთაურის — შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური კურსის მცდარობას. მთელი პლანეტა მშვიდობას აძლევს ხმას და ამას დღეს ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში.

მაგრამ არ შეიძლება სიფხიზლის მოდუნება, დამშვიდება. უნდა განვამტკიცოთ თავდაცვისუნარიანობა, რათა გულდაჯერებით განვავითაროთ ეკონომიკა, ცხოვრების პირობები გავუუმჯობესოთ ხალხს, წარმატებით განვახორციელოთ პარტიის სოციალური პროგრამა.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა სამხედრო-პატრიოტული მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის. არსებითი როლი შეასრულა სამხედრო ნაწილებთან და ქვეგანაყოფებთან პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, საბხედრო კომისარიატების, შრომითი კოლექტივების საქმიანი და შემოქმედებითი კავშირურთიერთობის განმტკიცებამ. ამან დადებითი გავლენა მოახდინა შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ჭაბუკების მომზადებაზე. გაუმჯობესდა ამ მუშაობის ყველა მაჩვენებელი, მათ შორის ახალწვეულთა მიერ რუსული ენის ცოდნა. დიდველის სამხედრო-სპორტულმა კომპლექსმა ხელი უნდა შეუწყოს ჭაბუკების წვევამდელი მომზადების გაუმჯობესებას.

ახლა შეგვიძლია მოვაწყოთ აქ უფროსკლასელთა შეკრებები, ვაზიაროთ ისინი სამხედრო-გამოყენებითი სახეობათა სპორტს — ზუსტად სროლის, ცურვის, პარაშუტით გადმოხტომის სწავლება, მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარება. ეს შესაძლებელს გახდის ჯარებში გაიგზავნონ ვაჟკაცური სამსახურისათვის უფრო მომზადებული ჭაბუკები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან ზოგადსაჯარისო მომზადების საწყის ჩვევებს.

დღეესასწაულზე დაასახელეს ჯარისკაცები, რომლებიც პირნათლად იხდიან მხედრულ ვალს — ზუსტაფოწჭელი გურამ ეჯიბაძე და ქუთაისელი ალექსანდრე შაპოვალოვი, რომლებიც წითელი ვარსკვლავის ორდენებით დაჯილდოვდნენ, წყალტუბოელი გივი ბაძილაძე, მაიაკოვსკელი ნოდარ ბასილაძე, თერჯოლელი დავით სოფრომაძე, რომლებსაც საბრძოლო მედლები მიენიჭათ, და ბევრი სხვა, ვისაც უნდა მიბაძონ დღევანდელმა გასაწვევებმა.

ახალი კომპლექსის გახსნის ცერემონიაზე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა — ჯარების სარდალის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ა. ნ. კლეიმენოვმა წაიკითხა ოლქის სარდლობის ბრძანება მშენებლების, მშენებლობის მონაწილე პარტიულ და საბჭოთა ორგანოთა ხელმძღვანელების დაჯილდოების შესახებ. თავგამოჩენილთ ფასიანი საჩუქრები და სპპატიო სიგელები გადასცეს.

... დღესასწაულის მონაწილენი საზეიმო მარშით მიაბიჯებენ პლაცზე, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისარიატების მუშაკები მიუძღვიან კოლონას, რომელშიც ლამაზ, სამხედრო ფორმის მსგავსად შეკერილ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები უწყობენ ერთმანეთს ფეხს.

იწყება ამიერკავკასიელი მეომრების გამოსვლები. ისინი თვალნათლივ უჩვენებენ გასაწვევებს, მათს მშობლებსა და ახლობლებს, თუ როგორი უნდა იყვნენ სამშობლოს ნამდვილი დამცველები, ებმებიან სასწავლო „ბრძოლაში“. შემდეგ კი საწვრთნელ კოშკზე იშლება პარაშუტის ქაოქათა გუმბათი — აქ მოსწავლეები გამოდიან.

დიდი ხანია ვოცნებობდი მამაჩემივით მესწავლა პარაშუტით ხტომა, — ამბობს სამტრფიოს № 4 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ელენე შუკაკიძე. — სწორედ ამ კოშკზე ვვარჯიშობდი. მარტო ბიჭები ხომ არ უნდა გაიზარდონ ძლიერები და მამაცები, სამშობლოს დაცვაში ჩვენც არ დავუდგებთ მათ ტოლს...

ელენე პირველი გადმოხტა პარაშუტით და ღვედების მოუხსნელად თანაკლასელ ნატაშა ლუციოუკთან ერთად მიართვა ყვავილები სპპატიო სტუმრებს. კოშკზე კი გოგონებს წყალტუბოელი მოსწავლეები ცვლიან.

ამასობაში მეომრები განაგრძობენ მხედრული ოსტატობის ჩვენებას. ისინი ძლევენ ცეცხლოვან წინაღობას, წყლის დაბრკოლებას, სრული აღჭურვილობით ებმებიან ხელჩართულ „ბრძოლაში მოწინააღმდეგესთან“. სულგანაბული აკვირდებენ მათ თვალს ბიჭები. დღეესასწაულის ყოველ მონაწილეს ესმის: აქ, ამ კომპლექსში, მას შეუძლია გადადგას პირველი ნაბიჯები საიმისოდ, რომ ასეთივე ღონიერი, სხარტი და უშიშარი გახდეს. (საქინფორმი).

მოჭიდრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი

ერთი ქულის ნაკლული უპირატესობით

კასპაროვ-კარპოვის მეთვრამეტე, გადადებული პარტიის ანალიზი მეტად საინტერესო გამოდგა. საერთო დასკვნა ასეთი იყო: კარპოვს მოგების რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. სწორი არ აღმოჩნდნენ ის ექსპერტები, რომლებიც თეორების გამსვლელ პაიკებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გამოირკვა, რომ გაცილებით უფრო სახიფათო ყოფილა მეტოქის განლაგების ზურგში შავი ეტლების გადასროლა. ამ შემთხვევაში კასპაროვი შამათის მუქარის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

ასეც მოხდა: თეთრი მეფის დაუცველობა გადამწყვეტი ფაქტორი გახდა — მას კარპოვი ორი ეტლით უტევდა, რომელსაც ცენტრალური გამსვლელი პაიკიც დაემატა. სამეფე იქამდეც კი მივიდა, რომ შავებს შეეძლოთ კასპაროვის გამსვლელი პაიკის სრული იგნორირება. ექსჩემპიონი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და 58-ე სვლაზე გაიმარჯვა.

პარტია დღეს გაიმართება

მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახბილოგასკაიას მატჩში მსოფლიო პირველობაზე მცირეოდენი შესვენება იყო. შაბათს ტაიმ-აუტის უფლება მსოფლიო ჩემპიონმა პირველად გამოიყენა. ამრიგად მეშვიდე პარტიაში მეტოქეები დღეს შეხვდებიან ერთმანეთს.

ანგარიშია კვლავინდებურად 4:2 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

თამაშობენ პრეტენდენტები

რიგაში, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების არტურ იუსუპოვისა და ანდრია სოკოლოვის მატჩი, გათამაშდა მორიგი მეცხრე პარტია.

იუსუპოვმა შავებით ფრანგული დაცვა აირჩია, რომელსაც წარმატებით იყენებდა მატჩის სტარტზე. მან ისევ მიიღო უპირატესობა, ზედიზედ მოიგო სამი პაიკი, პარტია გადაიდო იუსუპოვისათვის მოსაგებ პოზიციაში.

ᲒᲣᲨᲘᲜ თამაშის განუახლებლად ანდრია სოკოლოვმა თავი დამარცხებულად ცნო. ანგარიში გახდა 5,5:3,5 ა. იუსუპოვის სასარგებლოდ.

სასპარტაკიადო მერიდიანზე

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას მიაღწია ჩვენმა სპრინტერმა მაია აზარაშვილმა — 200 მეტრი ყველაზე სწრაფად (22,5 წამი) გაირბინა და მეორე ოქროს მედალი და სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სტაიერი ოლეგ სტრიჟაკოვი, რომელიც პირველი იყო 5 000 მეტრზე რბენაში. საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებმა 403,5 ქულა მოაგროვა და მეათე ადგილი დაიკავა, წინა სპარტაკიადასთან შედარებით ეს შედეგი წინგადადგმული ნაბიჯია (მაშინ ჩვენმა მძლეოსნებმა მხოლოდ 63 ქულა მოაგროვეს და მეთექვსმეტე ადგილს დასჯერდნენ). გუნდურ შეჯიბრებაში სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა უკრაინის ნაკრებმა, მეორე ადგილზეა რსფს რესპუბლიკის ნაკრები, მესამეზეა ბელორუსიის გუნდი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ სპორტული კომპლექსის „ოლიმპიურის“ საცურაო აუზში დამთავრდა წყალმტრედობა შეჯიბრება. 10 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა 17 წლის თბილისელმა სპორტსმენმა გიორგი ჩოგოვაძემ, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა და სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. ასე ჯრომ, იგივე სამმეტრიან ტრამპლინზე მოპოვებულ ბრინჯაოს გ. ჩოგოვაძემ ოქროს მედალიც მიუმატა.

ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ აკრობატთა შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ჩვენი თანამემამულე ფაატ სულაქველიძე, რომელმაც მხტომელთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა. გუნდური შეჯიბრების შედეგებით საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. პირველ ადგილზე არიან რსფსრ, მეორეზე — უკრაინელი აკრობატები.

ᲒᲐᲒᲐᲜᲐᲠᲔᲯᲘ საქართველოს წყალბურთელებმაც. მათ მთელი შეჯიბრება წარმატებით ჩაატარეს, მორიგ ტურში ანგარიშით 11:8 დაამარცხეს მოლდავეთის გუნდი და ვერცხლის მედლები გაინაწილეს. ეს ჩვენი წყალბურთელების დიდი წარმატებაა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ „კრილატსკოეს“ ოლიმპიურ სანიჩბოსნო არნში გაიმართა ნიჩბოსან ქალთა სასპარტაკიადო ფინალური გაცურვები; ამ შეჯიბრებაში საქართველოს ორი ეკიპაჟი გამოდიოდა. მესაჭიანი ოთხადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში ნატო ხინგავამ, ნინო ბეძელაძემ, ლარისა მიქაძემ, ირინა ბულიგინამ და ირინე ყორჟოლიანმა (მესაჭე) მეხუთე ადგილი დაიკავეს. უმესაჭეო ორადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში ჩვენი მეორე ეკიპაჟი — ლილი სართიძე და დონა ომაროვა — მეექვსე ადგილზე ავიდა. სულ ჩვენმა ნიჩბოსანმა ქალებმა 62 ქულა მოაგროვეს და XI ადგილი დაიკავეს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ „კრილატსკოეს“ ოლიმპიურ ტრეკზე შეჯიბრებაში ჩაებნენ ველოსიპედისტებიც. შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიო რეკორდით აღნიშნა თავისი გამოსვლა 4 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა (4 წთ. 28,9 წამი) და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. 1000 მეტრზე ადგილიდან ჰიტში პირველი იყო რიგელი ულდის ბრემანისი, მეორე ადგილი დაიკავა აზხაბადელმა ვლადიმერ სულთანოვმა; თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

სკოლისათვის ზრუნვით

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე იმსჯელეს რესპუბლიკაში სასკოლო რეფორმის მიმდინარეობის, საქართველოს განათლების მუშაკთა წინაშე მდგომი პრობლემების, მათი გადაჭრის გზების შესახებ. ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა საქართველოს განათლების მინისტრი ნ. ვასაძე.

სასკოლო რეფორმა მარტო განათლების სისტემის მუშაკთა ამოცანა როდია. ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები პრაქტიკულად ყველას ეხება. ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ მიმდინარე ხუთწლედს სკოლისათვის საყოველთაო ზრუნვის ხუთწლედი უწოდა.

პრესის წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას მინისტრი შეეხო კადრების პრობლემასთან, განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასთან, სკოლისა და ოჯახის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს.

რეფორმის მიღების დროიდან გასულ ორ წელიწადში ცოტა რამ როდი გაკეთდა. ახლა რესპუბლიკაში მოქმედებს 27 სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, შექმნილია 94 სასწავლო-საბჭოთა მეურნეობა. ძევერის, მანავის, ლაითურის სასწავლო-საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის შესახებ იბეჭდებოდა ექიოდენ პრესაში. „რესპუბლიკის ტელევიზიამ მოამზადა გადაცემა სკოლებთან საბაზო საწარმოს — ქუთაისის სამკერვალო საწარმოს გაერთიანება „ბელკთის“ კავშირის შესახებ. და მაინც, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი მასალები, რომლებიც აუცილებენ სკოლების მუშაობას, სკოლებთან საბაზო საწარმოებინ კავშირს, ასეთი კავშირის ეფექტს.

რეფორმით გაფვალისწინებული ექვსი წლის ასაკიდან ბავშვების სწავლება რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სამოცან წლებში დაიწყო. ახლა ეს ყველგან დაინერგა. მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ამისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ვეფიქრობ, განაცხადა მინისტრმა, დროებით შევწყვეტთ ექვსი წლიდან მიღებას, მაგრამ ამავე დროს ფართოდ გამოვიყენებთ საბავშვო ბაღებში სწავლების შესაძლებლობებს. მარტო წელს შვიდი ათასი პატარა მოვიდა სკოლამდელთა დაწესებულებების ბაზაზე გახსნილ პირველ კლასში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის საბავშვო სახლებისა და ინტერნატების მდგომარეობას. სერიოზული პრობლემები დგას სპეციალური სამკურნალო სანატორიუმებისა და ინტერნატების წინაშე. ჯერ კიდევ ყველგან არ არის გადაწყვეტილი საჭირო სამედიცინო ტექნიკითა და კვალიფიციური კადრებით მათი უზრუნველყოფის საკითხები.

პრესკონფერენციაზე განსაკუთრებული ზრუნვის სფერო უწოდეს სოფლის სკოლებს, რომელთა არასაკმარისი რაოდენობა და სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ზოგჯერ ქალაქში ახალგაზრდობის მიგრაციის მიზეზი ხდება. ხორციელდება სოფლის სკოლების მუშაობის გაუმჯობესების, პედაგოგთა კვალიფიციური კადრებით მათი უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

მინისტრმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

(საქინფორმი).

განახლების გზაზე

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა განახლების გზაზეა; აქ მიმდინარეობს ახალი სამრეწველო კორპუსების მშენებლობა, რომლებიც აღიჭურვება თანამედროვე ტიპის მანქანადანადგარებით, ეს კი ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდას, თანაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად გულმოდგინედ იღვწის კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მოპოვებისათვის, თითოეულ საწარმოო უბანზე შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: პარფიუმერიის საამქროს მეორე ბრიგადის დამფასებელი მ. კერესელიძე; ტექნიკური კონტროლისა და ქიმიური ანალიზების ლაბორატორიის ქიმიკოსი ნ. ნაჯუეია.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡᲔᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲙᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ — 99-06-10, ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲧᲝᲡ ᲣᲚᲚᲘᲜᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲕᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲖᲦᲕᲝᲗᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 93-22-93, ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-26-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲜᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 290-65-47; ᲡᲝᲩᲘᲡᲨᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲣᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-03; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲙᲐᲘᲫᲣᲚᲘ — 25-82.

მორალის თემაზე

ღალატის საზღაური

...**ᲚᲐᲚᲘ** ცუდად გახდა, ძლიერი ტკივილები წელის არეში აუტანლად აწუხებდა. კედელ-კედელ ძლივს მიაღწია სახლამდე. შეშფოთებული დედა ოხრავდა, ფუსფუსებდა, მაგრამ მოულოდნელ ავადმყოფობას ვერაფერი გაუგო, სანამ ქალიშვილმა ყვირილი არ დაიწყო... შემდეგ კი... ყველაფერი ნათელი შეიქნა. მაგრამ როგორ, რანაირად მოხდა, რომ 16 წლის გოგონა ფეხმძიმედ ყოფილა და სახლში არაფერი არაფერი იცოდა ამის შესახებ! ვინ არის ბავშვის მამა?...

გადაწყვეტილება მეორე დღესვე, მშობიარობის შემდეგ მიიღეს... ბავშვთა სახლს კიდევ ერთი ბიჭუნა შეემატა.

... ქალი დასტიროდა თხელ საბანში გახვეულ მძინარე ბავშვს. ვიღაც ეგოცებოდა, მკვდარს ტირისო. შემდეგ იგი ფანჯარასთან დადგა და არც მუშმჩნევია, მეზობელი რომ შემოვიდა ოთახში. რა გაყვირებდაო, იკითხა შემოსულმა. ვაიმე, ვაი, — ისევ წამოიკითხა ქალმა და მეზობელს უამბო, რომ მისი ექვსი თვის პირმშო ბრმა, ყრუ და მუნჯი იყო, თანაც მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლდა... — ერთი სიტყვით, ალკოჰოლის შედეგები უნდა იყოსო, დასძინა მან და პაპიროსი ხარბად მოქაჩა. საპასუხოდ მეზობელმა ქალმა მათრახივით გადაუქიცა ერთადერთი სიტყვა — „უნამუსო“, და „არი გაიხურა. მეზობელი ისევაც იშვიათად შემოდიოდა ამ ქალის ბინაში, ახლა კი კარების მიჯახუნებით მან თავისი დამოკიდებულება გამოხატა უღირსი დედის მიმართ...

სიგარეტი, არაყი და... დედის რძე საოცრად შეუთავსებელი ცნებებია. დედის ძუძუს მადლს ოდითგანვე უმღერიდნენ პოეტები და მხატვრები. მასში ხედავდნენ ჯანმრთელობის წყაროს, სილამაზის და სიცოცხლის ძალის სიმბოლოს. განა ვინმე იფიქრებდა, რომ ეს სიცოცხლის წყარო ოდესმე მოწამლულ წყაროდ გადაიქცევდა?

...დაბინძრებდი ოთახებში, სადაც პატარა საწოლები იდგა და ჩავიცქეროდი ორი თვიდან დაწყებული სამ წლამდე ასაკის მძინარე ბავშვთა სახეებს. თბილი სუნთქვის სურნელი იდგა ოთახებში. სამწუხაროდ, ეს არ იყო ჩათვლემილ ბავშვთა სამყაროს უბრალო დათვალიერება. ჩემს შეგრძნებას ამწვავებდა იმის ცოდნა, რომ ამ პატარების უმეტესობას მშობლები არ ჰყავდა. უფრო მძიმე განცდები დამეუფლა მაშინ, როდესაც წინ დამიწყვეს კონვერტები, რომლებშიც ამ ბავშვების მოკლე ბიოგრაფიები იყო აღნუსხული, უფრო ზუსტად რამდენიმე ძუნწი ცნობა...

აქამდე მეგონა, რომ ნორჩები ერთმანეთისაგან ძირითადად მხოლოდ ასაკით, სქესით, თმებისა და თვალების ფერით, სიცილითა და ტირილით განსხვავდებიან, მაგრამ თურმე არსებობენ „უარყოფილი“ და „მიტოვებული“, მარტოხელა დედებისნი და ავადმყოფმშობლებიანი ბავშვები. „უარყოფილთა“ კატეგორიაში ისინი შედიან, რომელთა აღზრდაზე მშობელმა იმთავითვე უარი განაცხადა, „მიტოვებულთა მშობლები არავის უნახავს და არც არაფერი იციან მათ შესახებ.

აქვე არიან ბავშვები, რომელთა მშობლებს ავადმყოფობა არ აძლევს საშუალებას თვითონვე გაზრდონ თავიანთი შვილები. ასეთი დედები მოუთმენლად ელიან გამოჯანმრთელებას და შვილების შინ წაყვანას. მათ არავინ კიცხავს, პირიქით, თანაუგრძნობენ და ეხმარებიან კიდეც, მაგრამ ასეთი დედები აქ ცოტანი არიან. სამაგიეროდ მრავლად არიან ჯანმრთელი დედები, რომლებმაც სხვადასხვა „მიზეზის“ გამო უარი თქვეს საკუთარ შვილებზე.

როცა ამ დრამატულ სიტუაციაში გავერკვეე, კიდევ ერთი გამოთქმა გავიგონე — „ჰაერში გამოკიდებული ბავშვები“. ვინ არიან ამ ბავშვების მშობლები, ანდა როგორი ადამიანები არიან ისინი? გვიან მივხვდი, რომ ესენი ჩვეულებრივი ბავშვები არიან, ხოლო მათი მშობლები იმით განსხვავდებიან სხვებისაგან, რომ ეტისმეტად ბოროტად სარგებლობენ თავიანთი უფლებებით. ისინი კარგად არიან გარკვეული თავიანთ უფლებებში, იციან, რომ უნდა, გადაიხადონ ბავშვის მოვლა-პატრონობის სფასური, ხოლო ორდესაც პირად ცხოვრებას მოიწესრიგებენ, თავიანთი შვილი უნდა წაიყვანონ ჩვილ ბავშვთა სახლიდან. ისინი კი ნამდვილ ბოროტედებების ყალბ დაპირებათა წყალობით უპატრონოდ რჩებიან პატარა გოგონები და ბიჭუნები, რომლებსაც ვიღაც მაინც იშვილებდა და მშობლიურ კუთხეს მიუჩენდა მათ რომ საკუთარი დედების მოლოდინი არ ჰქონოდათ.

დიახ, სამწუხაროდ, ჯერაც გვყავს მსგავსი „დედები“, მაგრამ განუზომლად მეტნი არიან ისეთები დედობის უწმინდეს კანონს რომ არ ღალატობენ და თავგანწირვით იბრძვიან შვილის შენარჩუნებისათვის.

... Ა. ნ-ს ბიჭუნა შეეძინა. ექიმებს ეგონათ, რომ იგი მშობიარობას გადაჰყვებოდა. მდგომარეობას ორთულებდა ბრმა ნაწლავის ანთება, რომელიც პერიტონიტით დასრულდა. რთული ოპერაციისა და ხანგრძლივი მკურნალობის საჭიროების გამო ოჯახში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ქმარი სამი წლის გოგონას უვლიდა, ნათესავები კი ახლოახლო არ ჰყავდათ. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ პაწია ილია ჩვილ ბავშვთა სახლში მიეყვანათ. ორი თვეც არ გასულა ქალის საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ და, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე სუსტად იყო, დედამ შვილი თავისთან წაიყვანა. სხვაგვარად მოქცევა მას არ შეეძლო.

... Ი. Ბ-ს გოგონა შეეძინა. მარტოხელა დედა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და იქ ბავშვის მიყვანა არ შეეძლო, მაგრამ მას უარი არ უთქვამს თავის შვილზე. პირმშო ჩვილ ბავშვთა სახლში მიიყვანა და თვითონაც იქვე ღამის ძიძად დაიწყო მუშაობა, დღისით კი ლექციაზე დადიოდა. სამი წლის შემდეგ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, ბავშვი წაიყვანა და გაწაწილების ადგილას სამუშაოდ წავიდა.

...მშობლებმა დ. ვ-ს მკაცრად მოსთხოვეს, რომ უარი ეთქვა „ცოდვის ნაყოფზე“—შვილზე. დ. ვ. 20 წლისა იყო და მშობლებს ეგონათ წინააღმდეგობას ვერ გაგიწევსო, მაგრამ ახალგაზრდა დედამ გაბედა და შეასინშნავად ჩაბარა ადამიანობის ძნელი გამოცდა.

ამ საქმეში მას ჩვილ ბავშვთა სახლის თანამშრომლები დაეხმარნენ. აი რას სწერს დ. ვ. ბავშვთა სახლის დირექტორს: „ძვირფასო ქალბატონო ელენე, თქვენი მადლობელი ვარ, რომ დამეხმარეთ შვილის შენარჩუნებაში. მართალია, მარტოხელა დედას ძალიან